# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 17 თებერვალი. 2017 წ. №37-38 (8174-8175), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.




# უზენაესი სასამართლო ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლად არ უნდა იქცეს!

ქიბარ ხალვაშის ადვოკატი პაატა სალია სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

## ქიბარ ხალვაშის ადვოკატის პაატა სალიას საგანგებო განცხადება



„მეორე წელია, მიმდინარეობს სამართლებრივი დავა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის წილებთან დაკავშირებით. მეორე წელია, უშედეგოდ ვცდილობთ გავარღვიოთ მანკიერი წრე და შევცვალოთ ის ორუელისეული მოცემულობა, როდესაც მოძალადეს – მსხვერპლი, ექსპროპრიატორს – მოწყალე, ხოლო ცილისმწამებელსა და დეზინფორმატორს – თავისუფალი სიტყვისთვის მებრძოლი ჰქვია.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მოთმინებით, მხოლოდ სამართლებრივი არგუმენტებით ვცდილობთ ჩვენი სიმართლის დამტკიცებას, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხის მხრიდან სასამართლოზე ზეწოლამ, შანტაჟმა და, როგორც უკანასკნელი მოვლენებიდან ირკვევა, მოსყიდვის მცდელობებმა არნახული მასშტაბები შეიძინა და წართმეულის შესანარჩუნებლად ყველა ხერხის გამოყენება მისაღები გახდა.

მინდა შევახსენო საზოგადოებას, რომ საქმე სამართლებრივი თვალსაზრისით არ არის რთული კატეგორიის და აღნიშნულის დადასტურებას პერიოდულად არც ჩვენი მოწინაალმდეგე მხარე ერიდებოდა. მაშინ, როდესაც ორი ინსტანციის სასამართლოში დამაჯერებელ წარმატებას მივაღწიეთ, სრული მოლოდინი გვქონდა, რომ უზენაესი სასამართლო დაუშვებლად ცნობდა საკასაციო საჩივრებს და ქიბარ ხალვაშის დარღვეული უფლებები აღდგებოდა, მაგრამ სამმა მოსამართლემ არ მიიღო საქმეზე არსებითი გადაწყვეტილება და იგი განსახილველად დიდ პალატას გადასცა.

იმ პირობებში, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე უსაფუძვლოდ გვდებდა ბრალს, თითქოს სასამართლოსთან უკანონო კომუნიკაციაში ვიმყოფებოდით, ყველამ თვალსაჩინოდ ვნახეთ, რომ ნიკა გვარამია, რომელიც პროცესის მონაწილე მხარეს წარმოადგენს, თავად იყო პირდაპირ კომუნიკაციაში საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესთან და მას „რუსთავი-2“-ის საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების ლობირებასა და პოლიტიკური პროვოკაციების განხორციელებას თხოვდა.

ნამდვილად არ ვიცი, ანგარებით არის ნაკარნახევი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ეს უკიდურესად საეჭვო გადაწყვეტილება თუ მათზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ტერორის შედეგია. მეტსაც გეტყვით – გვარამია-ახვლედიანის ეპიზოდისგან განსხვავებით, უზენაესი სასამართლოს კოლეგიის მოტივაციის დადგენა არ მჭირდება, რადგან მთავარი მტკიცებულება ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, საკუთრივ ის 140-გვერდიანი, ურთიერთსაწინააღმდეგო არგუმენტაციით დახუნძლული განჩინებაა, რომელიც საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მაგივრად შემოგვთავაზა სასამართლომ და რომლის სულისკვეთება აპრიორი გამორიცხავს იმას, რომ ეს გადაწყვეტილება სამართლებრივ არგუმენტებზე დაყრდნობით, მიუკერძოებლად და შინაგანი რწმენის კარნახით მიიღო სასამართლო კოლეგიამ.

აი, ასე - თვალსა და ხელს შუა, უკვე მეორედ ართმევენ ქიბარ ხალვაშს ტელევიზიას და თუ სასამართლო მოექცა ზეგავლენის ქვეშ, რისი ნიშნებიც უკვე ჩანს, ეს არა მარტო ამ კონკრეტული საქმისთვის იქნება საზიანო, არამედ საბოლოოდ დაასამარებს სამართლიანობის აღდგენის იდეას. სასამართლომ არ უნდა დაუშვას მის საქმიანობაში უკანონო ჩარევა და არ უნდა იქცეს ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლად. სასამართლომ არ უნდა დაუშვას უკანონობის დაკანონება ქვეყანაში“.

# სასამართლომ არ უნდა დაუშვას უკანონობის დაკანონება!


**ნუგზარ ფოფხაძე:**



## გოლი – საკუთარ კარში!

2



**იაკობ ლეჟავა:**



## როცა სინდის-ნამუსიც გაყიდულია!

4



## სანამ კოკა წყალზე გატყდება

3



## მიშას ალერგია, ანუ საიდან ეზრდება ულვაში რომან გოცირიძეს?

24







9

## ნიკა ეგაძის ოქროს ტოლფასი ბრინჯაო



## პრემიერისა და პატრიარქის შეხვედრა

**პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ჰელიოს ბერლინ ბუხ კლინიკაში“ მყოფი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოინახულა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ოპერაცია ჩაუტარდა. პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.**

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ყველასთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უწმინდესი თავს კარგად გრძნობს და იგი მალე სამშობლოში დაბრუნდება.

## სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობას და ვინაობას გამოძიება დაადგენს!

ვინ შეიყვანა პრემიერი შეცდომაში ე.წ. ციანიდის საქმეზე და რა საქმე აიყვანა მთავრობის მეთაურმა პირად კონტროლზე, თუ პროკურატურა დღეს აცხადებს, რომ ის არ აწარმოებს ძიებას არც პატრიარქის და არც მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მოწამვლის ფაქტზე? პრემიერ -მინისტრი, რომელმაც ბერლინის კლინიკაში მყოფი პატრიარქი მოინახულა, აცხადებს, რომ ე.წ. ციანიდის საქმეს „უზარმაზარი სპეკულაციათა ნაკადი მოჰყვა“.

**„მინდა პატრიარქს ვუსურვო ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენთვის ეკლესიის ერთიანობა უმნიშვნელოვანესია, ეკლესიის როგორც სახელმწიფოს ძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციის ერთიანობა. რაც მოხდა იმაზე დეტალურ კომენტარს არ გავაკეთებთ, ვფიქრობთ რომ უზარმაზარი სპეკულაციათა ნაკადი მოჰყვა, ვფიქრობ, რომ ეს არის უადგილო, ჩვენ გვინდა, ყველამ გავაკეთოთ ყველაფერი რომ მუხტი ჩავაცხროთ, გამოძიებას მივცეთ საშუალება, რომ ყველაფერი დაადგინოს. მე ყველა დეტალს ვფლობ, როდესაც სასულიერო პირი მომწამლავი ნივთიერებით კვეთს საზღვარს და მოდის იქ, სადაც პატრიარქი იმყოფება, რა თქმა უნდა დიდი უბედურების თავიდან აცილებაზეა საუბარი, სავარაუდო მსხვერპლთა რაოდენობას და ვინაობას გამოძიება დაადგენს,“** — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

## პატრიარქი საქართველოში ორშაბათს დაბრუნდება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საქართველოში ორშაბათს, 20 თებერვალს დაბრუნდება. ამის შესახებ განცხადება პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელმა ლაშა ჟვანიამ გააკეთა. მისი თქმით, პატრიარქის სურვილია, რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს სამშობლოში.

**„მისი უწმინდესობა საქართველოში ორშაბათს დაბრუნდება. ყველაფერი მიდის კარგად და ამიტომ, ექიმების გადაწყვეტილებაც არის და მისი უწმინდესობის სურვილიც, რომ, რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდეს“,** — განაცხადა ჟვანიამ.

## ბრავო!

# გოლი – საკუთარ კარში!



მიუხედავად მოწოდებებისა, რომ მშვიდად, დინჯად დავლოდებოდით გამოძიების შედეგებს და გიჟური აჟიოტაჟით არ დაგვეძაბა საზოგადოებრივი გარემო, გრძელდება წარმოდგენა სახელწოდებით „აბსურდის თეატრი!“

არავითარი გამოძიების საიდუმლო, არავითარი „მოწმის გაფრთხილება“, არავითარი უდანაშაულობის პრეზუმფცია, არავითარი...

ტალახი... ტალახი... ჭორი! ტყუილი და მართალი... არავითარი „რეპუტაციის გაფრთხილება“... ანაფორიანი ძველბიჭები და ადეკვატური ტერმინოლოგია...

ერთი სიტყვით: აბსოლუტური მარაზმი!

ის, რაც ახლა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სცენაზე ხდება, ალბათ, არის პროფესიულად ჩაფიქრებული, ორგანიზებული და ზუსტად გამიზნული ... პროვოკაცია!

მიზანი მიღწეულია!

ბრავო!

დედა-ეკლესია დისკრედიტებულია

ორჯერ ბრავო!!

პატრიარქის უახლოესი გარემოცვა დისკრედიტებულია!

ბრავო!!!

სამაგიეროდ არენაზე გამოჩნდნენ და „პოპულარობა“ მოიპოვეს ტიპებმა, რომელთა ადგილი, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკურ თუ მორალურ სანაგვეზე უნდა იყოს!!! თუ ხისტად ვიტყვით: ციხეში!

თავად პატრიარქს, რომელიც ჯერ კიდევ რეანიმაციაში იმყოფებოდა, მიაყენეს ისეთი მორალური ტრავმა, რომელსაც ვერანაირი მედიცინა ვერ გაანეიტრალებს.რამეთუ გულზე ნაჭდევებს ქირურგის დანა ვერ შველის.

ახლა დიდი ვიშვიშია. ისე აირია მონასტერი, რომ არავის უნდა პასუხისმგებლობის აღება იმ უკიდურეს დაძაბულობაზე, რომელმაც შეიძლება ქვეყანაში დიდი არეულობა და დაპირისპირება გამოიწვიოს, როგორც ეს ივარაუდა არცთუ რიგითმა ჩინოსანმა სახელმწიფოში!

ახლა მავანი მიამიტურად აცხადებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მედიამ და საზოგადოებამ არასწორად გაიგეს და აღიქვეს ჩვენი „ტიტინიო“... პროკურატურის პრესცენტრის განმარტება, ალბათ, ასე უნდა გავიგოთ: თქვე წერა-კითხვის უცოდინრებო, კარგად წაიკითხეთ ჩვენი განცხადება და საკუთარ თავს დააბრალეთ მისი ინტერპრეტაციაო... აქეთ გვიტევენ!

რა გამოდის? პრემიერი და ხელისუფლების უმაღლესი პირები ინფორმაციას მხოლოდ ტელეეკრანებიდან იღებენ? ისინი ხაზგასმით რომ გვეუბნებიან, რომ მათ მიაწოდეს კომპეტენტური ინფორმაცია? და ვის შეეძლო მათთვის ასეთი წონადი, დამაჯერებელი „მოხსენება“ — ჟურნალისტ ნოდარ მელაძეს (სხვათა შორის, მას უნდა უმადლოდეს საზოგადოება ამ ფაქტის (!) გასაჯაროებას)?

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

„ჩვენ პასუხს ვერავინ მოგვთხოვსო“, თავს იზღვევენ. მიხვდნენ, რომ მთლად „ბრძნულად„ ვერ მოიქცნენ. ვერც მოიქცეოდნენ!

შესახსენებელია მათთვის (და არა მარტო): ცოდნა და პროფესიონალიზმი ინტრიგებით არ იხვეწება. არც ერთი-ორი „გაშინაურებული“ ჟურნალისტის მეშვეობით „საჭირო“, მაპროვოცირებელი ინფორმაციის „გაჟონვის“ მათთვის ჩვეული მეთოდით. მაგას ზნეობასთან ერთად, განათლება, გამოცდილება და ჭკუა სჭირდება (ორივე მხრიდან) და არა თავის გამოჩენის დაუოკებელი სურვილი, რაც თინეიჯერულ ასაკს არგადაცილებულ გოგობიჭებს უფრო ახასიათებთ და რაც უცხო უნდა იყოს მაღალი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთათვის. ამიტომ, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ისევ წყალში ჩაიყარა ის პოზიტიური შედეგები, რომლებიც მართლა აქვს მთავარ პროკურატურას და ამას, ამ სტრუქტურის ხელმძღვანელობა, საკუთარ თავთან ერთად უნდა უმადლოდეს ერთი-ორი ნამეტნავად გაჯეჯილებულ „ლამაზმანს“, რომლებმაც უნდა გაითავისონ „პიარის“ უპირველესი მოთხოვნა: საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა პროფესიაა და იგი გამორიცხავს ზერელობას, ბაქიბუქსა და ფაციფუცს!

სწორედ ამ მოთხოვნების უგულებელყოფამ მოიტანა ის მკვეთრად უარყოფითი შედეგი, რაც მოჰყვა მედიის წინაშე მთავარი პროკურორის საგანგებო გამოსვლას, რომელმაც საზოგადოებას გაახსენა ზურაბ ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებით სისხამ დილით ჩატარებული ბრიფინგი. მაშინდელი შსს მინისტრისა და გენერალური პროკურორის იმჟამინდელი გამოჩენა ეკრანზე შოკი კი იყო მოსახლეობისთვის, მაგრამ სავსებით გამართლებული გახლდათ, რამეთუ იშვიათ, ჩვენს თანამედროვე ისტორიაში მანამდე არმომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას — პრემიერის „უცნაურ“ დაღუპვას ეხებოდა. მაგრამ, ახლა? ახლა რა საჭირო იყო სწორედ მთავარი პროკურორის გამოჩენა? თუ პროკურატურის პრესცენტრი და თავად პროკურორი მიიჩნევენ, რომ ეს „დანაშაული“ ასეთი უბრალო იყო და ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ „ერთ-ერთი პირის მკვლელობას პატრიარქის გარემოცვიდან“, ნუთუ მორიგ, რიგით, ჩვეულებრივ ბრიფინგზე სტრუქტურის ტრადიციული „პიარშიკი“ ვერ „ჩაარაკრაკებდა“ იმ ტექსტს, რომლითაც ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი ნებსით თუ უნებლიეთ ყალყზე დააყენა?

რაღაც არ მახსოვს ბოლო წლებში ის შემთხვევა, როცა ე. წ. „თავიდან აცილებულ“ ასეთ რიგით (!!!!) დანაშაულზე, საგანგებო (!!!) ბრიფინგი გაემართოს თავად მთავარ, გენერალურ, განუმეორებელ პროკურორს! თუ ვინმეს გახსოვთ, შემახსენეთ და...

არა! ჩანაფიქრი, ალბათ, სხვა იყო. ვითარება არ განვითარდა ისე, როგორც მავანი ვარაუდობდა.

სავსებით მართებულად ამბობს უფლებადამცველი მამუკა ნოზაძე:, რომ თავიანთ განცხადებებში „პროკურატურა და პოლიტიკოსები პირდაპირ პატრიარქზე მიანიშნებენ. ამით საზოგადოების დაზაფვრა ხდება. ამით ეკლესიას ადგება ზიანი“.

აი, ეს არის ახლა გასარკვევი, ეს არის ყველაზე მწვავე, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი: რატომ გაკეთდა ასეთი მინიშნებები, რატომ აღიქვა საზოგადოებამ სავარაუდო მსხვერპლად სწორედ პატრიარქი?

ის რომ თემა, საკითხი ძალიან ფაქიზია და მორწმუნე საზოგადოებისთვის, ანუ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის — მნიშვნელოვანი, ეს აქსიომაა. და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ხელისუფალთ სურვილი და ნაბიჯი გამოეხატათ ამ ამაზრზენი (და სახიფათო) ფაქტისადმი თავიანთი დამოკიდებულება და პოზიცია. მაგრამ, საჭირო კი იყო ის დამაეჭვებელი „აქცენტები“, რომლებიც გახმიანდა უმაღლეს დონეზე, რომ, პრაქტიკულად, თავიდან იქნაო აცილებული საქართველოს წინააღმდეგ ჩაფიქრებული და გმირი-პროკურატურის მიერ თავიდან აცილებული დიდი ტრაგედია! ანდა ისეთი რა ინფორმაცია მიაწოდეს უმაღლეს დონეს, რომ ქვეყანა შეძრა პრემიერის კვალდაკვალ პარლამენტის თავმჯდომარის, პირველი ვიცე-პრემიერის, უმრავლესობის ლიდერის, „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავკაცის, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის და სხვა მაღალჩინოსანთა ხაზგასმული, დაბეჯითებული, იურიდიულად გაუმართლებელი შეფასებებით სავსე განცხადებებმა?

ჯერ ერთი: მხოლოდ პრემიერის განცხადებას არ დავუჯერებდით? ან, პარლამენტის თავმჯდომარის... ან თუნდაც პირველი ვიცე-პრემიერის... ან... ერთი სიტყვით, ვერ გადავეჩვიეთ გამჩვენეობის შეჯიბრს, იმის მინიშნებას, თუ ვინ არის მთავარი, გადამწყვეტი, რეალური, გამორჩეული (და ა.შ) პოლიტიკოსი, მმართველი, ფიგურა ხელისუფლებაში... „რეპორტიორს“ არაერთგზის გაუმახვილებია ყურადღება და „უსვრია“ რეპლიკა ამ თემასთან დაკავშირებით. შეაყარე კედელს ცერცვი!

ეტყობა, თავის გამოჩენის სწორედ ასეთმა „ჟირითმა“ და „მარულამ“ სამთავრობო-საპარლამენტო-საპროკურორო სტრუქტურების „პიარშიკებს“ დაუბლაგვა მთავარი პრობლემა: შინაარსობრივი! ჰოდა, წავიდა, მაგრამ რა წავიდა!

არ ვიცი, ვინ აჩქარდა ან ააჩქარეს, რატომ გაკეთდა მინიშნებები, რომლებიც აშკარად (!!!!!!!!), ცალსახად (!!!!!!!!!!) მიანიშნებდნენ სავარაუდო დანაშაულის ობიექტს! ვინ არის „მაღალი სასულიერო იერარქი“? —- შორენა თეთრუაშვილი?! არამცთუ „მაღალი იერარქი“, საერთოდ არ არის სასულიერო პირი ეს მანდილოსანი. ჯვარი წერია მას, მაგრამ საერთო ეროვნულ ტრაგედიას და დაპირისპირებას ვერც მისი „ძალადობრივი“ ჩამოშორება გამოიწვევდა... სწორედ ამიტომაც, გამოიწვია ვნებათაღელვა მინიშნებებმა, რომლებზედაც სავსებით მართებულად საუბრობს უფლებადამცველი მამუკა ნოზაძე: „პროკურატურა და პოლიტიკოსები პირდაპირ პატრიარქზე მიანიშნებენ. ამით საზოგადოების დაზაფვრა ხდება. ამით ეკლესიას ადგება ზიანი“.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია საზოგადოებაში გაჩენილი შეკითხვები:

— ვინ ან რა რჯიდა ხელისუფლების მაღალი რანგის „იერარქთ“ საჯაროდ (!) გაეკეთებინათ საგანგებო (!) განცხადებები ისეთი მინიშნებებით, რომლებიც „კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე“ მიუთითებდნენ გვარის დაუსახელებლად?!

ცხადზე ცხადია, რომ ჩვენი დინჯი და გაწონასწორებული პრემიერი, ცხელ გულზედაც კი არ გააკეთებდა ისეთ განცხადებას, თუ ამის საფუძველს არ მისცემდა კომპეტენტურ სტრუქტურათა ხელმძღვანელების სანდო, გადამოწმებული ინფორმაცია. და თუ მან და მისმა კოლეგებმა არასწორად „გაუგეს“ პროკურატურას, რატომ უმალვე არ გასწორდა შეცდომა, რატომ „აითრია ფეხი“ ყველამ ამ არასწორი ინტერპრეტაციის გასაბათილებლად?

— ვინ ჩააყენა უხერხულ დღეში სახელმწიფოს ყველაზე პასუხისმგებელი მაღალჩინოსნები, ვინ მიაწოდა მათ „უმწიფარი“ ინფორმაცია, ვინ იმუშავა იმ განცხადების მომზადებაზე, რომლითაც ისინი საზოგადოების წინაშე წარსდგნენ? ვის უნდა მოეთხოვოს პასუხი ქვეყნის მოსახლეობის „გაგიჟებაზე“?

აშკარაა: გატანილია გოლი საკუთარ კარში!

თუმც „პიარშიკების“ სამთავრობო — საპროკურატურო გუნდების „პიარშიკებისთვის“ ეს უცხო ხილი არ არის!

ჯანდაბას მათი თავი, მაგრამ როცა გოლი გააქვთ სრულიად საქართველოს კარში, მასზე რეაგირება, სერიოზული, პრინციპული, ჭკუის სასწავლებელი — აუცილებელია!

სხვანაირად სახელმწიფო არ არსებობს!

ჰოდა, ამასთან დაკავშირებით სულ „ფეოლას“ შეძახილი მახსენდება: დაცვას მიხედე, ხვედელიძე, დაცვას!



**ნუგზარ ფოფხაძე**

**ერთხელაც იქნება, მილიონობით მწყურვალი შემოგვესევა, ჩვენს წყალანკარას დაეწაფებიან, ჩვენ კი გაგვყრიანო, — იმ დღეს გულდაწყვეტით მითხრა ჩემმა ძველმა მეგობარმა...**

სასმელი წყლის ბიზნესზე საუბარს მოჰყვა მისი გულისტკივილიანი ჩივილი.

მაინც რაღაა ეს წყალი-მეთქი, ვითომ არ ვიცოდი და ლექსიკონები მოვიმარჯვე.

„წყალი (წყლისა), წყალი, „მდინარე“, „ნათელი“ გცემთ თქვენ წყალთა“. მთ. 3,11. „ვითარცა ხე დანერგილი თანაწარსადინელმა წყალისათა“. და ასე შემდეგ. პირველი 1979 წელს გამოცემული ილია აბულაძისეული „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ გადავფურცლე.

1997 წელს გამოცემულ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაში“ წყალს მთელი თავები ჰქონია დათმობილი და ეს აღმოჩენაც ასე იწყება: „წყალი თავიდანვე ითვლებოდა სიცოცხლის პირველ წყაროდ“...

არც კი მახსოვდა, ჩემი სიცოცხლის მრავალი ათეული წლის მანძილზე იმდენი ენციკლოპედიები, ქართულის ენის განმარტებითი ლექსიკონები მიგროვებია.

ახლა კი სხვაგანაც ჩავიხედოთ:

„უფერული, გამჭვირვალე სითხე, წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი. იხმარება სასმელად, სარეცხად...“

წყალი ღვთის წყალობააო, — ვინ უწყის რა ჟამიდან მოდის ეგ სასწაულებრივი თქმა. ალბათ გახსოვთ, საჩვენო ლეგენდა, მითი თუ... სინამდვილე. უფალი ღმერთი ხალხებს საცხოვრის მიწებს რომ ურიგებდა, ამ დროს ქართველები, ისევე ისე გულარხეინად მოილხენდნენ, მერე დიდად შეგვიანებულებმა მამალმერთს გული აუჩუყეს, შენს სადღეგრძელოს ვსვამდითო.

მაშინ უფალმა სათავისოდ შერჩეული მიწა-წყალი მიუბოძა ქართველებს...




# სანამ კოკა წყალზე გატყდება

მიწა ჰო, მიწას გაგიხარიათ, აქამომდე ვფლანგავთ, ვასაჩუქრებთ, ვყიდით.

აი, წყალი, ღმერთმა თურმე წინასწარ განჭვრიტა ჩვენი ბედოვლათობა და წყალიც ისეთი მოგვიბოძა, დედამიწაზე უკეთესს რომ ვერ მოიძევ.

ჰოდა, დღეს ამ შვიდი მილიარდი ადამიანით დასახლებულ პლანეტაზე, 2,5 მილიარდი წყურვილით რომ იხრჩობა, **წყლის ბიზნესის სიკეთე მოაფიქრდათ ქართველ მამულიშვილებს, ბიზნესმენებს, ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს პაატა გიორგაძის თავკაცობით.**

იღვაწეს, იკვლიეს, მეცნიერულადაც დაამუშავეს, სქელტანიანი სამეცნიერო წიგნიც დადეს, თუ როგორ, რა გზით, რა საშუალებით წაადგება სასმელი წყლის ექსპორტი ეკონომიკური სიდუხჭირით შეჭირვებულ ჩვენ ერს, თან როგორ წაეშველება, გაახარებს მშიერ-მწყურვალ მილიონებს. მოიძიეს უცხოელი ინვესტორებიც — ერთი ამერიკელი, ერთიც ისრაელელი, თითოეული 2 მილიარდ 300 მილიონს ჩადებს ამ საქმეში, თუ კი საქართველოს ხელისუფალნი კეთილს ინებებენ და დათანხმდებიან წყლის ბიზნესს.

შედეგი: **ერთ წელიწადში 100 ჭაბურღილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ამდენივე წყლის ჩამოსასხმელი ქარხნით, 100 ათასი ადამიანის დასაქმებით. თითოეულის ხელფასი 1500 ლარი. ქვეყანა ყოველწლიურად 12 მილიარდ დოლარის მოგებას მიიღებს, გგონიათ წყალი დაგვაკლდება, გვარწმუნებენ, რომ დანაკარგი სულ რაღაც 07 პროცენტი იქნება.**

ჰოდა, სანამ უწყლობით გატანჯულ-გაწამებულ მილიონობით მწყურვალი აქეთ არ მოგვადგება, აქედან არ გაგვყრის, იქით მივაწოდოთ წყალი, თან ფულიც ვიშოვოთ... ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა დავაბრუნოთ მილიონზე მეტი ლტოლვილი, დედები, მამები, შვილები, ახალგაზრდები, თავიანთ კერასა და ოჯახს მონატრებულნი.

აი, დემოგრაფიული ჭირიც რომ კარებს გვიმტვრევს, 2050 წლისთვის ქართველებს უკვე აღარ დაგვემუქრება უმცირესობაში ჩამოქვეითება, ვაჩუქოთ ქართველ დედებს იმედი, მათ ძალიან უყვართ ბევრი შვილი და დროზე შევუქმნათ სათანადო პირობები.

წყალი მართლაც რომ ღვთის წყალობაა, მოდით ხალხო, ერო და ბერო, ერთად დავდგეთ, ვიყვიროთ, სანამ კოკა წყალზე არ გატეხილა და რაღაც შევასმინოთ ჩვენს ხელისუფალთ.

**გივი ჯახუა.**

**P. S. თუმცა ინვესტორის საძებნელად რაღა შორს მივდივართ, აგერ არ არის ქვეყნის მხსნელი, ქველმოქმედი და პატრიოტი კაცი ბიძინა ივანიშვილი? მას ვთხოვოთ ამ ბიზნესის წამოწყება და განვითარება!**

**გ. ჯ.**

# ადამიანთა განმხეცება და დაცემა

**„უფალო,** შეუნდე, რამეთუ არ იციან, რასა იქმან“.

ეს ჯვარცმული მაცხოვრის სიტყვებია, როცა საწამებლის სიმაღლიდან დაინახა ადამიანთა სიხარბე და სიბილწე.

ის ქრისტე იყო და მიტევება შეძლო.

მიუხედავად ძე ღვთისას უზარმაზარი მსხვერპლისა, სიხარბე და სიბილწე მაინც დარჩა ამ ცოდვილ დედამიწაზე.

ორი ათასი წელი გავიდა მას შემდეგ.

ადამიანებმა დაივიწყეს, რომ მათი ცოდვების გამოსასყიდად ეწამა კაცობრიობის უდიდესი და უკეთილშობილესი შვილი...

მეტი რა შეიძლება დაერქვას, თუ არა ქრისტეს მცნებათა დავიწყება, ადამიანის განმხეცება და დაცემა იმას, რაც დღეს ხდება საქართველოში.

ქრისტიანი მოძღვარი შხამს იდებს ჯიბეში და შეგულებული მსხვერპლის მოსაკლავად მიემგზავრება ცხრა მთას იქით.

ვინ იყო მისი სამიზნე, ვინ გაწირა მოსაკლავად: ჩვენი მხცოვანი, სათნო და ღვთისნიერი პატრიარქი თუ სხვა ვინმე „უმაღლესი სამღვდელო პირი“, კაცი თუ სულაც ქალი, ვთქვათ პატრიარქის მდივან-რეფერენტი? თუმცა კი სწორედ რომ დაუჯერებელია, ამ ქალბატონის იმქვეყნად გასასტუმრებლად აეღო დეკანოზს მწირის არგანი და ევროპის გზას დადგომოდა...

ქვეყანა შეძრა საქართველოს კათოლიკოსის შესაძლო მკვლელობის ვარაუდმა.

მით უფრო, რომ მხოლოდ ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ვერაგულად მოკლეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონი.

მთავარი ის არის, რომ ამ გინდ დაიჯერე, გინდა არა სენსაციური ხმების გავრცელებას გვარიანი ბიძგი მისცა „კილერი“ დეკანოზის ბარგში ნაპოვნმა ციანიდმა, რომლის დანიშნულებაზეც ღავღავებს დღეს მთელი ქვეყანა და რომელიც პირდაპირ ცის მანანასავით მოევლინა „რუსთავი-2“-ს.

გახსოვთ, ვოლტერის ცნობილი სიტყვები: „ღმერთი რომ არ არსებულიყო, ის უნდა გამოგვეგონებინაო“.

შლეგი დეკანოზისა და საქართველოს ეკლესიაში არსებული მწუთხე ვითარების გამომზეურებამ, სწორედ რომ სულზე მოუსწრო ხალხზე გამარჯვებულ ტელევიზიას, რომელსაც ბოლო ხანს ერთობ შეეფერთხა ქათიბი.

გვარამია-გაბუნიას ინკვიზიტორებმა აღარ იციან, კიდევ რა ბინძური ვერსიები გამოიგონონ და გაავრცელონ.

ახლა იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს პატრიარქის მკვლელობის ვერსია, რომ პირდაპირ მიაბეს კვირისთვის დაგეგმილ „რუსთავი-2“-ის „თავისუფალი სიტყვის მეაკვნის“ „დამცავ“ აქციას.

ახლა „გვარამია 2“ იმაზე ღავღავებს პირზე შხამშეუშრობლად, რომ თურმე ისე არ ყოფილა, როგორც თავიდან ითქვა: ამ უბედურ დეკანოზს პატრიარქი კი არ უნდა მოეკლა, არამედ უმაღლესი სასულიერო იერარქიის რომელიღაც უცნობი პირიო.

როგორ თუ საგამოძიებო ორგანოები სამიზნედ პატრიარქს არ აღიარებენო, ჩვენ რომ თავიდანვე დავასახელეთ, საკმარისი არ იყოო, ქაფი მოიგეს პირზე ნაცმოძრაობის ორივე განაყოფის ბიჭებმა.

ჰო, ჰო, ჰო, რა ამბავს დაათევენ კვირას, რუსთაველის პროსპექტზე დაგეგმილ აქციაზე?!.

**უფალო, შეუნდე, რამეთუ არა იციან, რასა იქმენ!**

**სანდრო ალექსიძე**



# ნიკა გვარამია: უნდა გამემხილა წყარო, რადგან არ ვარ ჟურნალისტი

**თბილისის** საქალაქო სასამართლოში გუშინ ნიკა გვარამიას გამოკითხვა ორ საათს გრძელდებოდა. საქმე ეხება საუბრის ფარულ ჩანაწერს ნიკა გვარამიასა და საქალაქო სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანს შორის, რომელიც ორი დღის წინათ შსს-ს ექსპერტებმა ავთენტურად გამოაცხადეს. გენერალურმა დირექტორმა გამოკითხვის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ გამოძიებას კითხვები აუდიოჩანაწერის შინაარსის შესახებ ჰქონდა.

**„გამოძიება ცდილობდა შინაარსის გარკვევას. პროკურატურას ავიწყდება, რომ ეს გამოძიება არ მიმდინარეობს არც ქრთამის აღებაზე, არც რაიმე სხვაზე, ეს გამოძიება მიმდინარეობს ინფორმაციის უკანონოდ მოპოვებაზე და კომპიუტერულ სისტემაში შეღწევაზე. ჩვენი განმარტება იყო შემდეგი: კითხვები უნდა შეეხებოდეს მხოლოდ გამოძიებას. ბუნებრივია, თუ ის სცდება გამოძიების ინტერესებს, ამ კითხვებზე პასუხისგან თავს შევიკავებ. მიუხედავად ამისა, კითხვებზე ვუპასუხე მთელ რიგ შემთხვევებში“,** — ამბობს გვარამია.

„რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ასევე ამბობს, რომ გამოძიებამ მათ ქვეყნის შიგნით ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა წაართვა.

„რა თქმა უნდა, ექსპერტიზის დასკვნა არის ყალბი. იგი არ ასახავს საუბარს, რომელიც შედგა სამ პირს შორის. ექსპერტიზის დასკვნის შინაარსს გავეცანი, თუმცა არ გადმომცეს. შეუძლებელი გახდა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება ქვეყნის შიგნით იმიტომ, რომ გაუგებარი მიზეზებით, ჩატარდა კომისიური ექსპერტიზა და შსს-ს კრიმინალური საექსპერტო კვლევა და „სამხარაული“ ერთად არიან გასვრილი ამ საქმეში. ჩვენ მოგვისპეს შესაძლებლობა ქვეყნის შიგნით ალტერნატიული ექსპერტიზის გაკეთებისა“...

ნიკა გვარამიასვე თქმით, პროკურატურას სურდა, რომ წყარო, ანუ საუბარში მონაწილე მესამე პირის ვინაობა გაემხილა.

**„პროკურატურის პოზიცია იყო ის, რომ მე უნდა გამემხილა წყარო, ანუ მესამე პირი. ეს განმარტეს იმით, რომ მე არ ვარ ჟურნალისტი. რა თქმა უნდა, ეს არის სიბეცე და უცოდინრობა, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მართლმსაჯულების ცოდნისა. ნებისმიერი ტელევიზიის და პრესის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს ჟურნალისტურ საქმიანობას, ითვლება, რომ დაცულია გაუთქმელობის პრივილეგიით. რა თქმა უნდა, ყველა შეკითხვა, რომელიც მე მიმაჩნია, რომ ამ პრივილეგიით არის დაცული, დარჩა უპასუხოდ“,** — თქვა გვარამიამ.

# საზოგადოებრივი მაუწყებლის შეფასების ახალი კრიტერიუმები

**სამეურვეო საბჭომ კრიტერიუმების დოკუმენტი საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს ვასილ მაღლაფერიძეს ოფიციალურად გააცნო.**

საბჭოს ერთ-ერთი წევრის სულხან სალაძის განცხადებით, განსაკუთრებული წინააღმდეგობა მენეჯმენტის მხრიდან არ ყოფილა. მისი თქმით, დისკუსიაზე საუბარი, ძირითადად, რეიტინგებს შეეხო.

კრიტერიუმების შესახებ საკუთარ მოსაზრებებს მენეჯმენტი, დღეს, საბჭოს სხდომაზე, სხვა საკითხების პარალელურად დააფიქსირებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებმა გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული გეგმის შესწავლა გასულ კვირას დაიწყეს. გეგმას საზოგადოების სხვადასხვა წრეში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. სამეურვეო საბჭოს წევრები, მაუწყებლის თანამშრომლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან საჯარო შეხვედრების გამართვას გეგმავენ.

# როცა სინდის-ნამუსია

**პარლამენტი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო რომ არის, ეს ჩვენმა პარლამენტარებმაც იციან, მაგრამ მათ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა უფრო მოსწონთ — პარლამენტი ხომ სალაპარაკოს ნიშნავს, ჩვენ სინამდვილეში კი, ძალიან ხშირად — სალაყბოს! რატომ? ამას ახსნა და მაგალითები სჭირდება? ვფიქრობ, არა, ამაში ხომ ყოველდღიურად ვრწმუნდებით, მაგრამ უსაფუძვლო ნათქვამად რომ არ ჩამითვალონ, ერთ-ორ მაგალითს მოვიყვან და ვნახავთ, თუ რაზე დავობენ წლების მანძილზე „ხალხის რჩეულები“ — 150 დეპუტატი და, მათთან ერთად, ყველაფრის მცოდნე ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებიც (ასო-ები), პრეზიდენტის ადმინისტრაციის ჩათვლით, რა თქმა უნდა!**

„დემოკრატიის შუქურას“ პერიოდიდან დაწყებული, 13 წელიწადია სულ რეფორმებში ვართ, მაგრამ არცერთ რეფორმას არცერთ სფეროში საშველი არ დაადგა. ყველაზე მნიშვნელოვანზე, **სასამართლო რეფორმაზე** შევჩერდები. გვეუბნებიან, რომ ამჟამად ამ რეფორმის მესამე ტალღაა, მაგრამ არ გვეუბნებიან, თუ რამდენი ტალღა გვჭირდება სულ ან რამდენბალიანი. ჩემი ღრმა რწმენით მხოლოდ მეცხრე ტალღა თუ გვიშველის, რომელიც, როგორც ძველი რომაელები თვლიდნენ, ყველაზე მაღალი, ყველაზე ძლიერი და დამანგრეველი ტალღაა. რატომ ვფიქრობ ასე? იმიტომ, რომ სანამ ერთიანად არ წალეკავს ეს ტალღა იმ მოსამართლეებს, რომლებიც ნაცების დანაშაულებრივი ქმედებების იურიდიულად გაკეთილშობილებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ, მანამდე არანაირ რეფორმას შედეგი არ მოჰყვება, სანამ „სა-სამართალო“-ში სააკაშვილ-ადეიშვილ-კუბლაშვილის მოსამართლეები იბოგინებენ, მანამდე დაპირებული და საოცნებო სამართალი არ აღსდგება. შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი რომ არ იცვლება, ეს დეპუტატებმაც უნდა იცოდნენ და კომაროვის სახელობის მათემატიკური სკოლის კურსდამთავრებულმა პრემიერმაც — **უვარგის ან დამნაშავე მოსამართლეს დასჯის ნაცვლად ერთი სასამართლოდან მეორეში თუ გადაიყვან ან, მით უფრო, თუ დააწინაურებ და სრულ თავისუფლებას მიანიჭებ, ამით არაფერი შეიცვლება, იგი არ გამოსწორდება და უკეთესი არ გახდება.** დავიჯერო, რომ ეს მარტივი ჭეშმარიტება მარტო მე ვიცი და ჩემნაირებმა, ხელისუფლებამ კი — არა? ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ საჭირო ნაბიჯები მაინც არ იდგმება. რატომ? ახსნა ძალიან მარტივია: როგორ გგონიათ, ნაცებს მხოლოდ დეპუტატ-მინისტრებზე (ანუ ერთმანეთზე!), ოპოზიციური პარტიების ლიდერებზე, ბიზნესმენებზე და მათი ოჯახის წევრებზე ჰქონდათ შეგროვებული ათიათასობით კომპრომატი (ვიდეოფაილების სახით) და მოსამართლეები კი დაინდეს? თუ, გამორჩათ? და თუ არ გამორჩათ, მაშინ ახლა, როცა ფორმალურად აღარ არიან ქვეყნის სათავეში, ახლა ვეღარ გამოიყენებენ ამ კომპრომატებს ქოცების მიერ სამუშაო ადგილებზე ხელუხლებლად დატოვებული მოსამართლეების დასაშანტაჟებლად? ან იქნებ, ვინმე ფიქრობს, რომ ის ათასობით კომპრომატი, რომლებიც ქოცებს ჩაუვარდათ ხელში (ან შეგნებულადაც დაუტოვეს ნაცებმა, რათა მიენიშნებიათ, თუ რა „ძვირფასი“ მასალები აქვთ ყველაზე, ვინც კი ხმის ამოღებას გაბედავს!), მათ სულ გაანადგურეს და როცა დასჭირდებათ დასაშანტაჟებლად არ გამოიყენებენ? სწორედ ასეთი გასვრილი მოსამართლეების ხელში დაჭერა აწყობს ნებისმიერ „ხალხზე“ მაფიქრალ ხელისუფლებას. ერთი შეხედვით, თითქოს, უცნაურია, რაში უნდა აწყობდეს ვინმეს ისეთი მოსამართლე, რომლისთვისაც ხელი სხვასაც აქვს წაჭერილი კისერში? უცნაური მაშინ იქნებოდა, „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ იყვნენ პოლიტიკურად ერთმანეთზე გადაკიდებულნი, და არა — კოჰაბიტირებულნი, ერთნაირი პოლიტიკური კურსის გამტარებელნი და სხვის დაკრულზე ერთიმეორეზე უკეთ მოცეკვავენი. სწორედ ამიტომ, ანუ თავისი ვირეშმაკობით და გარედან რეკომენდაციით ჰყავს შენარჩუნებული „ქართულ ოცნებას“ ისევ ის ძველი, „მოუსყიდავი“ და „უმწიკვლო წარსულის მქონე“ ნაცების შერჩეული გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები. თანაც, უსირცხვილოდ გვარწმუნებს აბსურდში — მართალია, მათი მიზეზით და დანაშაულებრივი ძალისხმევით 200-ზე მეტი პოლიტიკური პატიმარი გვყავდა და 40 ათასზე მეტი ადამიანი ციხეებში ჩაყარეს, მართალია ასობით უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა ჩაიფარცხა და ათასობით ადამიანისთვის ქონების წართმევა სახელმწიფოსთვის ჩუქებად გაფორმდა, მართალია... (რა ჩამოთვლის!), მაგრამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას რა გვექნა — სამსახურიდან ხომ ვერ დავითხოვდით ყველას (თითქოს, ვინმე დაითხოვეს და პასუხი აგებინეს ხალხის თვალის ასახვევად მაინც!), კადრები არ გვეყოფოდა (თითქოს, მართლა გვაკლდეს სპეციალისტები ან, თითქოს, სანახევროდ განახლებაც პრობლემატური ყოფილიყოს!), ამიტომ ავდექით და ბრძნულად მოვიქეცით — იმავე მოსამართლეებს (ანუ დამნაშავე მოსამართლეებს!) სრული თავისუფლება მივანიჭეთ და პირობაც მივეცით, რომ მათ საქმიანობაში „ოცნების“ ახალი ხელისუფლება არ ჩავერეოდით. უკეთესს ვერ ინატრებ, „გენიალური“ სამართლებრივი მიგნებაა, ზუსტად ისეთი, „ევროპას რომ გავაკვირვებთ“! ეს ბედოვლათები ვითომ იმასაც ვერ ხვდებიან, რომ „ოცნებიდან“ მართლაც რომ არავინ არ ჩაერიოს, „ნაცმოძრაობიდან“ ხომ მაინც აუცილებლად ექნება აქტიურ ზეწოლას ადგილი. კიდევაც რომ დავიჯეროთ „ოცნების“ ანგელოზობა, ფაქტი ჯიუტია — ამ სასამართლო სისტემის ხელში არცერთი რეზონანსული(!) საქმე ბოლომდე არ მისულა (ათასობით რიგითზე რომ აღარაფერი ვთქვა), ხოლო სახელმწიფოს ღალატის, სახელმწიფო ტერორის მუხლით და ბიუჯეტიდან ათეულობით მილიონის მიმთვისებლებზე საქმე არც კი აღძრულა! ვისზედაც აღიძრა, მათ ისეთი ღიმილის მომგვრელი ბრალდებები წაუყენეს ამ დატოვებულმა პროკურორებმა და ისეთი განაჩენები გამოიტანეს ამ დატოვებულმა მოსამართლეებმა, რომ ბრალდებულები ან გაამართლეს ანდა, ამნისტიით მალევე გამოუშვეს. „ნაცმოძრაობის“ მიმართ „ქართული ოცნების“ ასეთი დამოკიდებულება დანაშაულია, რასაც ძალაუფლების, თანამდებობის ბოროტად გამოყენება ჰქვია და რაზედაც პასუხი უნდა აგოს ყველამ — დეპუტატებიდან დაწყებული იუსტიციის მინისტრამდე.

* * *

მეორე მაგალითი, ე.წ. **„მოსმენების“** შესახებ. ვის, როგორ და ვისი ნებართვით უნდა მოვუსმინოთ, ვის უნდა ჰქონდეს, სად უნდა ინახებოდეს ე.წ. „მოსმენების გასაღები“ და სხვა ამის მსგავსი სადავო, თუ სალაყბო კითხვები არ ილევა უკვე რამდენიმე წელია. რატომ სალაყბო? იმიტომ, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვის და რამდენი უწყების ხელში იქნება ეს გასაღები, რადგანაც, ჯერ ერთი, ჩვენი სამაგალითო სტრატეგიული „პარტნიორი“ ამერიკა მთელ მსოფლიოს რომ უსმენს, პირველ რიგში კი — სახელმწიფოების, მათ შორის მეგობარი სახელმწიფოების მეთაურებს (პრეზიდენტებს, პრემიერებს თუ მონარქებს), მას რა, „მოსმენების გასაღებები“ აქვს მოპარული თუ ნებართვა აქვს აღებული შესაბამისი სასამართლოებისგან?! და მეორე, როგორც „ოცნების“ ხელისუფლებამ გვამცნო მოსვლისთანავე 2012 წელს, ამერიკის მიერ ვანო მერაბიშვილისთვის ნაჩუქარი მოსმენების პორტატიული მოწყობილობა ისევ სააკაშვილ-ადეიშვილის თანამზრახველების ხელშია და ვისაც უნდათ და როცა გაუხარდებათ, მაშინ მოუსმენენ! მოსმენების ეს მოწყობილობა, სახელად „სტინგრეი“ პატარა ჩემოდნის ზომისაა და სატელეფონო ანძის ფუნქციის იმიტირების გზით იგი ტოტალური მიყურადების საშუალებას იძლევა. ამაში ახალი არაფერია, ეს ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ აქცენტები მაინც კეთდება და ერთი ამბავი ტყდება იმაზე, თუ ვინ ჩაიწერა და ვინ გაავრცელა ჩანაწერები და არა — ჩანაწერების შინაარსზე, იმაზე, თუ ვინ საუბრობს და რაზე, თუნდაც, ამ ჩანაწერებში შეიარაღებული გამოსვლების მზადებაზე, ხელისუფლების რევოლუციური გზით დამხობაზე იყოს საუბარი! ჰოდა, ასეთ დროს გასაღების შენახვაზე გაუთავებელი დავის ლაყბობად შეფასება, ვფიქრობ, რბილად ნათქვამიც კია.

იგივე უსაგნო მსჯელობად, ლაყბობად შეიძლება შეფასდეს **კონსტიტუციის ახალი რედაქციის,** ანუ კონსტიტუციის ჭრა-კერვის დამდგენი კომისიის შემადგენლობის ირგვლივ პარლამენტსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის ატეხილი გადაძახილ-გადმოძახილი (ასო-ების მონაწილეობით, ცხადია). მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის ყოველი ახალი რედაქცია ვენეციის კომისიასთან შეთანხმებით იწერება, მასში შესატან ცვლილებებს, ისევე როგორც რეფორმებს, ბოლო არ უჩანს. ძირითადი კანონი — კონსტიტუცია ხელუხლებელი რომ რჩებოდეს და მასში იშვიათად მხოლოდ რაღაც დამატებები შეჰქონდეთ, როგორც ეს ნორმალურ სახელმწიფოებში ხდება, ვინ ამოიღებდა ხმას, მაგრამ ჩვენთან კონსტიტუციის უპატივცემლობას საზღვარი არა აქვს! კონსტიტუციაში ისეთი აბსურდული ჩანაწერის გაკეთებასაც კი აპირებენ, როგორიცაა „ნატოსკენ“ სწრაფვა, ევრო-ატლანტიკური კურსის უპირობო(!) მხარდაჭერა. მე თქვენ გეტყვით და, ვენეციის კომისია წავა წინააღმდეგი ან ეტყვის ჩვენ „კანონშემოქმედებს“, რომ ამის ჩაწერა კი არა, ამაზე მსჯელობაც კი სირცხვილიაო! როცა ხელისუფლების სათავეში მოსული ყოველი ახალი პარტია თავის გემოზე ცვლის კონსტიტუციას და თავის თარგზე ირგებს მას, ამას უკვე კონსტიტუციაზე ძალადობა ჰქვია! ვფიქრობ, დროა, კონსტიტუციაში შეტანილ იქნას პარაგრაფი, რომლის ძალითაც კონსტიტუციის ხელის ხლება დაუშვებელი იქნებოდა რაღაც დროით — ვთქვათ, ორი-სამი ან მეტი საარჩევნო პერიოდის მანძილზე.

ერთი სიტყვით, პარლამენტში უამრავ არაარსებით საკითხზე იმართება გაუთავებელი მსჯელობა, სასიცოცხლოდ საჭირო კანონების მიღება კი არა და არ ხდება. სამაგიეროდ, დასავლეთის რეკომენდაციებით უსწრაფესად ვიღებთ ჩვენი სახელმწიფოსთვის ერთობ საზიანო და მიუღებელ კანონებს — ანტიდისკრიმინაციულ, იუვენალური იუსტიციის, მიწის უცხოელებზე მიყიდვის, მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა რელიგიურ მიმდინარეობებთან და სექტებთან გათანაბრების და სხვა კანონებს.

> **„ნაცმოძრაობის“ მიმართ „ქართული ოცნების“ ასეთი დამოკიდებულება დანაშაულია, რასაც ძალაუფლების, თანამდებობის ბოროტად გამოყენება ჰქვია და რაზედაც პასუხი უნდა აგოს ყველამ — დეპუტატებიდან დაწყებული იუსტიციის მინისტრამდე.**



* * *

**ახლა** იმას შევეხები, თუ რომელი კანონები არ უნდა მივიღოთ და არც გადმოვიღოთ არავისგან, პირველ რიგში, ცხადია, რუსეთისგან! თუკი ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლოა, არც მაშინ? დიახ, არც მაშინ, რადგანაც რუსული მხოლოდ ბაზარი გვინდა და სხვა არაფერი, სხვა ყველაფერი — ლიტერატურა, მუსიკა და, რაღა თქმა უნდა, კანონებიც, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია! მე მაინც გავბედავ და მოვიყვან რუსეთში 2012-2016 წლებში მიღებულ კანონებს (მხოლოდ მცირე ნაწილს, ცხადია) და ვნახოთ, გვაწყენდა ჩვენც მათი გადმოქართულება თუ არა:

1. ივნისი, 2012 — **უცხოეთიდან დაფინანსებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია (ასო), რომლებიც პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან, ვალდებულია დარეგისტრირდეს, როგორც „უცხოეთის აგენტი“.** პოლიტიკურ საქმიანობად ითვლება მიტინგების, დემონსტრაციების და მსვლელობების, აგრეთვე საჯარო გამოსვლების და დისკუსიების ორგანიზებასა და ჩატარებაში მონაწილეობა. პოლიტიკურად ითვლება აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და მათ მიერ გატარებული პოლიტიკის შეფასებების გავრცელება, სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარება და გასაჯაროება, ვინაიდან მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ფორმირება შეუძლიათ.

**ჩინეთში,** სადაც 7 000-ზე მეტი უცხოური ასო საქმიანობს, 2016 წლის აპრილში ასევე მიიღეს კანონი უცხოეთიდან დაფინანსებული ასო-ების თაობაზე. ჩინეთის ხელისუფლების განმარტებით, **„ეს ორგანიზაციები სხვა სახელმწიფოების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას თავისი ინტერესების და ღირებულებების გასატარებლად, და სხვა პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად“**. უცხოეთიდან დაფინანსებული ასო-ების („ადამიანის უფლებების დამცველი ჯგუფების“) საქმიანობა 2016 წლის ივლისში აკრძალა **ისრაელის** კნესეტმაც. მიღებული კანონის მიზანია, არ დაუშვას ისრაელის შიდა საქმეებში უცხო სახელმ-



**უცხოეთიდან დაფინანსებული ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია (ასო), რომლებიც პოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან, ვალდებულია დარეგისტრირდეს, როგორც „უცხოეთის აგენტი“...**

# გაყიდულია!

წიფოების ჩარევა. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური კანონი, ბევრად უფრო მკაცრი, თავად **ამერიკის შეერთებულ შტატებში** 1938 (!) წლიდან მოქმედებს.

ივნისი, 2014 — „უცხოეთის აგენტის“ რეესტრში მოხვედრილი **ასო-ები ვალდებული არიან ყოველ ნახევარ წელიწადში წარადგინონ თავიანთი საქმიანობის და ხელმძღვანელი ორგანოების პერსონალური შემადგენლობის ანგარიში;** ყოველ კვარტალში კი — დოკუმენტები, თუ **რა მიზნებისთვის იხარჯებოდა ფინანსები;** ნახევარ წელიწადში ერთხელ ვალდებული არიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის **ინტერნეტში განათავსონ თავიანთი საქმიანობის ანგარიში, ხოლო მათი წლიური საბუღალტრო ანგარიში სავალდებულო აუდიტს ექვემდებარება.**

ასო-ებს **შეიძლება მიენიჭოს „არასასურველი“ ორგანიზაციის სტატუსი და აიკრძალოს** მათი საქმიანობა, თუკი იგი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს კონსტიტუციურ წყობას ან თავდაცვისუნარიანობას (მაისი, 2015). რუსეთში 12 ორგანიზაციას აეკრძალა საქმიანობა, მათ შორისაა ჩვენთვის კარგად ცნობილი ენ-დი-აი (NDI), აი-არ-აი (IRI), USAID, ღია საზოგადოება — ე.წ. სოროსის ფონდი და სხვა. მილიარდერი სოროსი, წარმოშობით უნგრელი ებრაელი, და მის მიერ დაფინანსებული სამივე ორგანიზაცია თვით უნგრეთიდანაც კი გააგდეს! ჩვენთან კი, მიუხედავად დეზინფორმაციის გავრცელებაში თავგამოჩენილ და შინაურ საქმეებში ცხვირის ჩამყოფ ამ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი ლუის ნავაროს დროინდელ ენ-დი-აის (თუმცა, დეზინფორმაციაში ნავაროს დიდად არც მისი შემცვლელი ქალბატონი ჩამოუვარდება) თითიც არ დააკარეს და დღესაც ფეხქვეშ ეგებიან.

**უცხოეთიდან დაფინანსებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც ვალდებული არიან ამგვარი დაფინანსების თაობაზე ზედამხედველობის კომიტეტში განაცხადონ** (ოქტომბერი, 2015).

2. ივნისი, 2013 — სახელმწიფო დუმამ ერთ სხდომაზე მიიღო ორი უმნიშვნელოვანესი კანონი: არასრულწლოვანთა (18 წლამდე) შორის **არატრადიციული სექსუალური ურთიერთობების პროპაგანდის ამკრძალავი და მორწმუნეთა გრძნობების დამცავი** კანონები.

3. სექტემბერი, 2013 — **უხარისხო წამლების წარმოება და გავრცელება გაუთანაბრდა სისხლის სამართლის უმძიმეს დანაშაულებს.**

4. დეკემბერი, 2013 — სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერებში **აღდგა მეხუთე გრაფა: ეროვნება.**

5. მაისი, 2014 — **აიკრძალა უცენზურო ლექსიკა კონცერტებზე, თეატრალურ დადგმებში, ტელე და რადიოეთერში, ასევე — კინოფილმებში;** ერთი წლით ადრე კი აიკრძალა გინება **მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.**

რუსეთში, სადაც „მატით“ საუბრის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობდა, იქ აკრძალეს, ჩვენთან კი... შემოიღეს! გადაცემა არ არის, სპექტაკლი თუ კინოფილმი, სადაც ორსართულიანი გინებით არ „ამკობენ“ პერსონაჟები ერთმანეთს ან ვინმეს!

6. ოქტომბერი, 2014 — საცხოვრებელი სახლებისთვის გამოყოფილ მიწებზე **მშენებლობის 5 წელზე მეტად გაჭიანურების შემთხვევაში მიწის გადასახადი იზრდება ექვსჯერ!** (ეს კანონი ძალაში შედის 2020 წლიდან).

ჩვენთან რამდენია ამისთანა მიწები, თუნდაც, მარტო თბილისში? ვერის საცურაო აუზის ტერიტორია რამდენი წელია მიგდებულია უპატრონოდ?

7. ივნისი, 2015 — **პარლამენტში არ დაიშვებიან ჟურნალისტები მოკლე შორტებში, დახეულ ჯინსებში და ძალიან მოკლე მინიკაბებში.**

8. დეკემბერი, 2015 — საკონსტიტუციო სასამართლო **არ არის ვალდებული შეასრულოს საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილება, თუკი იგი რუსეთის კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.**

სწორედ ეს არის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მაჩვენებელი და არა უსიტყვო მორჩილება — დასავლეთიდან მიღებული ყველანაირი დირექტივის თუ სასამართლო განჩინების აღსრულება.

9. ივლისი 2016 — **რუსეთში აიკრძალა გენმოდიფიცირებული პროდუქციის წარმოება და იმპორტიც,** და იგი განიხილება, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული (გენმოდიფიცირებული პროდუქციის წილი რუსეთის კვებით ინდუსტრიაში უკანასკნელ 10 წელიწადში შემცირდა 12 %-დან 0.01 %-მდე, ანუ 1000-ჯერ).

გენმოდიფიცირებული საკვები ჩვენი ჯანმრთელობისთვის, განსაკუთრებით კი ალერგიული ადამიანებისთვის, ძალიან დიდი საფრთხის შემცველი რომ არის, დიდი ხანია, ცნობილია, მაგრამ მისი მიზეზით სიკვდილის პირველი შემთხვევა მხოლოდ ერთი თვის წინათ, 2017 წლის იანვარში გამოცხადდა ოფიციალურად. მადრიდის კარლოს მესამის ჰოსპიტლის ექიმებმა პრესკონფერენციაზე დაადასტურეს, რომ 31 წლის ხუან პედრო რამოსის სიკვდილი თევზის(!) გენის შემცველმა გენმოდიფიცირებულმა პომიდორმა გამოიწვია, რომელიც ზღვის პროდუქტებისადმი ალერგიულმა რამოსმა მიირთვა საუზმეზე 7 იანვარს (ბეკონთან, სალათთან და კოკა-კოლასთან ერთად) და, რასაც ძლიერი ალერგიული რეაქცია მოჰყვა (ძლიერი ქავილი, ყელის შეშუპება, წნევის დაცემა), რამოსმა თავადვე გაიკეთა ეპინეფრინის (ადრენალინის) ინიექცია და იგი მაშინვე გადაიყვანეს ჰოსპიტალში, მაგრამ ვერც ექიმებმა შეძლეს მისი ანაფილაქსიური შოკიდან გამოყვანა — არცერთმა ანტიალერგიულმა პრეპარატმა არ იმოქმედა, რამოსი ერთ საათში გარდაიცვალა. მედიკოსებმა და სასამართლო ექსპერტებმა უამრავი ანალიზი ჩაატარეს და ყველა მათგანმა დაადასტურა, რომ სწორედ პომიდორი, რომელიც რამოსმა მიირთვა, იყო წყარო იმ ალერგენებისა, რამაც გამოიწვია სიკვდილი. ისინი გაოცებული დარჩნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ პორტუგალიაში მოყვანილი ეს პომიდორი არა მარტო იმ ალერგენებს შეიცავდა, რომლებიც, ჩვეულებრივ, თევზში და ზღვის პროდუქტებშია, არამედ, ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტულ (გამძლე) ისეთ გენებსაც, რომლებმაც ხელი შეუშალეს რამოსის სისხლის თეთრ უჯრედებს დაეცვათ მისი სიცოცხლე!

(საქართველოში გენმოდიფიცირებული საკვების წარმოება და იმპორტი აკრძალული არ არის არადა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის 80 %(!) იმპორტირებულია. შეერთებულ შტატებში, ვისგანაც მაგალითს ვიღებთ, ამერიკის მომხმარებელთა კავშირის მონაცემებით, თითქმის ყველა საკვები პროდუქტი, მარკირებული როგორც „ნატურალური“(!), გენეტიკურად მოდიფიცირებული ინგრედიენტების მაღალი შემცველობით გამოირჩევა).

10. ივნისი, 2016 — **რუსეთი პენსიას გადაუხდის ისრაელში მცხოვრებ ყოფილ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, იმათაც კი ვინც უარი თქვეს რუსეთის მოქალაქეობაზე! თანაც, გადაუხდის შრომითი სტაჟის პროპორციულად!** ებრაელები პენსიას მიიღებენ მოხუცებულობის, ინვალიდობის და მარჩენალის დაკარგვის გამოც! ასეთ პენსიონერთა რაოდენობა ისრაელში 100 ათასზე მეტია!

ჩვენი ხელისუფლება კი, საქართველოს მოქალაქეობას ართმევს იმათ, ვინც იძულებით და გაჭირვების გამო (ანუ წასულთა 99 %-მა) დატოვა სამშობლო და ვინაც უცხოეთიდან სისტემატურად აგზავნის ფულს (უცხოურ ვალუტას!) აქ დატოვებული ოჯახის წევრების და, მაშასადამე, საქართველოს ბიუჯეტის დასახმარებლადაც! და ეს დახმარება წელიწადში ორ მილიარდ დოლარს აღემატება! **საქართველოს ხელისუფლება არათუ იმ ქართველებს არ უხდის პენსიას, რომლებმაც უარი თქვეს საქართველოს მოქალაქეობაზე და უცხოეთში დარჩნენ სამუდამოდ, არამედ იმათაც, რომლებიც საქართველოში დაბრუნდნენ და საქართველოს მოქალაქეობა აღიდგინეს!** რატომ? პასუხი აბსურდულია: ვინაიდან უცხოეთში 10 წელი იმუშავე და იქაურ პენსიას იღებ, აქაური პენსია, შრომითი სტაჟის პროპორციულს ვინ ჩივის, საერთოდ, აღარ გეკუთვნის 2006 წელს მიღებული კანონის ძალითო, და არც — ავტობუსით შეღავათიანი მგზავრობაო! ყველაფერი სააკაშვილის დროს მოფიქრებული კანონის ბრალია, ჩვენ კი იმდენი საქმე გვაქვს, რომ თავდაუზოგავი შრომის მიუხედავად (ზაფხულობით მხოლოდ ორ თვეს ვისვენებთ!) ამ კანონის გადასახედად ვერ მოვიცალეთ — აქეთ „ნატო“-ში გაწევრიანებისკენ სწრაფვაზე დახარჯული ძალისხმევა, იქით ევროკავშირთან ასოცირება და ვიზალიბერალიზაცია, კონსტიტუციის ახალი რედაქცია, სასამართლოს რეფორმის მესამე ტალღა და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი პრობლემა გვაყრია თავზეო. დღე და ღამეს რომ ვასწორებთ თქვენზე ფიქრში ჩვენს მიერ შერჩეულ მინისტრებთან (მოადგილეებიანად) ერთად, ამაზე სახელფასო უწყისებიც ღაღადებენ — ზუსტად ამ ტიტანური შრომის, ზეგანაკვეთური საათების პროპორციულად ვიწერთ საკუთარი თავისთვის პრემიებს და დანამატებს ყოველთვიურად (ხელფასებზე სულ რაღაც ორჯერ-სამჯერ მეტს!), ნახეთ თითოეულს რამდენი ათასი თუ ათეულათასი გვაქვს გამოწერილი და დარწმუნდებით, რომ უძილო ღამეებისთვის მეტიც კი გვეკუთვნისო!

11. თებერვალი, 2017 — მომზადებულია შრომით კოდექსში შესატანი შესწორებები, რომლებითაც **შეზღუდული იქნება ნებისმიერი სახელმწიფო სტრუქტურის ყველა ხელმძღვანელი თანამდებობის პირების ხელფასები.** მათი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო (ხელფასი და მასტიმულირებელი შემოსავლები — დანამატები, პრემიები და სხვ.) არ უნდა აღემატებოდეს პრეზიდენტის საშუალო თვიურ ფულად ანაზღაურებას (წინა კალენდარული წლის მონაცემებით).

12. და ბოლოს, კიდევ ერთ კანონზე, რომელიც თითქმის 15 წელია მოქმედებს რუსეთში. თვალუწვდენელი, უზარმაზარი ტერიტორიების მფლობელ რუსეთშიც კი უცხოელებს ეკრძალებათ **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სასაზღვრო ზოლში და საზღვაო პორტების მიმდებარე, ტრანსპორტის ინფრასტრუქტურისთვის, სახელმწიფოს თავდაცვის და უსაფრთხოებისთვის გამიზნული მიწების საკუთრებაში შეძენა!**

**ჩვენთან კი... დღესაც ბენდუქიძის პრინციპებით ხელმძღვანელობენ და ყველაფერს ყიდიან. განსხვავება ის არის, რომ ბენდუქიძე სინდის-ნამუსის გაყიდვის წინააღმდეგი იყო (ყოველ შემთხვევაში, სიტყვით), ჩვენი დეპუტატ-მინისტრები კი სწორედ სინდის-ნამუსის გაყიდვით იწყებენ ხალხის სამსახურში ჩადგომას. აბა, რომელ სინდისზე ამოეღება ხმა იმას, ვინც უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ, 100-200 ლარს მიჩერებულ ადამიანების შემყურე თავისთვის, მარტო დანამატის და პრემიის სახით, 100 ათას ლარს იწერს!**

**ახლა ვიკითხოთ: გვაწყენდა რუსეთში მიღებული რომელიმე ზემოთ მოყვანილი კანონის გადმოღება? დაგვაზარალებდა თუ, პირიქით, ძალიან კარგი და დროულიც იქნებოდა? რომელი ნორმალური პარლამენტი იტყვის უარს მისი ქვეყნისთვის სიკეთის მომტან კანონებზე მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ანალოგიური კანონები მის მეზობელ, მტრულად განწყობილ სახელმწიფოში უკვე მიღებულია. ეს ხომ არაადეკვატურობის (რბილად რომ ვთქვათ) ან უშნო ამპარტავნობის მაჩვენებელია, უფრო კი — სააკაშვილის დროიდან დაწყებული ანტირუსული პროპაგანდის და რუსოფობიის შედეგი, კიდევ უფრო მეტად კი — მონური მორჩილების! არ იკითხოთ ახლა, ვისიო!**



**იაკობ ლეჟავა,**
თებერვალი, 2017.

## დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა „გაზპრომთან“ დაკავშირებით ნაცების მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტს მხარი არ დაუჭირა

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა კომპანია „გაზპრომთან“ დაკავშირებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტს მხარი არ დაუჭირა. „ენმ“-ს ფრაქციის თავმჯდომარის, რომან გოცირიძის განცხადებით, „ნაცმოძრაობამ“ ხელისუფლება ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში ამხილა და შეთანხმების რეკონსტრუქცია გააკეთა.



**„როცა შეთანხმება გასაჯაროვდება, ვნახავთ, რომ ჩვენი რეკონსტრუქცია მას 100%-ით დაემთხვევა. ამ შეთანხმების შედეგად, ქვეყანამ მრავალი მილიონი იზარალა და ეს სახელმწიფოსთვის ფინანსურად დამაზიანებელია, რომელსაც აუცილებლად გავასაჩივრებთ და მის გასაჯაროებას მოვითხოვთ“,** — განაცხადა გოცირიძემ.

# შავი ჯიპებიდან ციანიდამდე





**აქვე უნდა ითქვას, რომ მტკნარი სისულელეა, თითქოს ამ გზით შესაძლებელია „ეკლესიის განწმენდა“, მისი „განახლება“ და ა.შ. არანაირი „განწმენდა“ მთელი ამ სიბინძურის გარეთ გამოტანით არ მოხდება: საჯაროობით შესაძლებელია საპრეზიდენტო ინსტიტუტის, პარლამენტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ან სხვა ამგვარი სტრუქტურების „გაწმენდა“, მაგრამ არა ისეთი ინსტიტუტისა, როგორიცაა ეკლესია, რაკი მისი საფუძველთა-საფუძველი საკრალურობაა, რის გარეშეც იგი იოლად იქცევა ჩვეულებრივ „ფულის საკეთებელ საამქროდ“.**

**ბიზანტიის ისტორია ადასტურებს, რომ „ასეთი რამ“ სწორედ „ასე“ მთავრდება. ანუ, ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა „ექუხა“ გრანდიოზულ სკანდალს ყველაზე ავტორიტეტულ საერთო-ეროვნულ ინსტიტუტში, რომლის უმაღლესი ნდობის რეიტინგი, სინამდვილეში, სწორედ იმას ეყრდნობოდა, რომ იქ არსებულ პრობლემებზე ღიად არავინ საუბრობდა.**

თუმცა, ძველი საბჭოთა ტრადიციით, „სამზარეულოებში“, ანუ „ჩუმ-ჩუმად“ და თან მზარდი სიხშირით, მაინც ლაპარაკობდნენ იმაზე, რასაც ხედავდნენ, და რისი „არდანახვაც“ უკვე შეუძლებელი იყო.

მაგრამ თავდაპირველად, ორიოდე სიტყვა თვით იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რამაც მთელი ეს ამბავი „ააფეთქა“: უკვე აშკარაა ნახევრადკომიკური მცდელობა, აქცენტი იმაზე გადაიტანონ, რომ პროკურატურის ნაგულისხმევი „მაღალი იერარქიის პირი“ არა თვით პატრიარქი, არამედ მისი მდივან-რეფერენტი შორენა თეთრუაშვილია.

ანუ, გამოდის, დეკანოზ გიორგი მამალაძეს, სწორედ ტოლკიენისეულ მფშვინავ „მდედრ საურონად“ გამოცხადებული „მდივან-რეფერენტის“ მოკვლა დაუგეგმავს და არა თვით პატრიარქისა! თითქოს დიდი შეღავათი იყოს; არადა მაინც „შეღავათად“ ჟღერს იმასთან შედარებით, რაც ბრალდება: „ჩვიდმეტსაუკუნოვანი, სამოციქულო, ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის“ საჭეთმპყრობლის მოწამვლის მცდელობა!

* * *

ლოგიკა, ნებისმიერ შემთხვევაში უებარი მოკავშირეა. დავსვათ მარტივი კითხვა: პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირკაშვილმა, როცა „თავიდან აცილებულ უდიდეს ეროვნულ უბედურებაზე“ და „საქართველოს სახელმწიფოებიობის წინააღმდეგ დაგეგმილ დარტყმაზე“ ილაპარაკა - შორენა თეთრუაშვილი იგულისხმა?!

გამორიცხულია! და რაკი გამორიცხულია, ხოლო იმავე განცხადებაში პრემიერმა აღიარა, რომ „დიდი ხნის წინ იცოდა ამ გამოძიების შესახებ“, ლოგიკურად ისმის მეორე კითხვა: პრემიერმა იცოდა და პატრიარქმა არა?

აქედან კი მესამე კითხვა გამომდინარებს: არ გეჩვენებათ უცნაურად, რომ „კვანძის“, ანუ საქმის გახსნა და ეჭვმიტანლის დაკავება „დაემთხვა“ პატრიარქის გერმანიაში გამგზავრებას და დიდი ხნის წინათ დაგეგმილ (არა გადაუდებელ, არამედ სწორედ დაგეგმილ!) ოპერაციას?

კითხვას თუ შევატრიალებთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მოხდა პირიქით.

დეკანოზ გიორგი მამალაძეს კი შეუძლებელია, არ ეგრძნო მის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა და არ გასჩენოდა ეჭვი, რომ „რაღაც იცოდნენ“ მისი უცნაური მონდომების შესახებ — ეყიდა ციანიდი.

აბა, ვინმე თუ დაიჯერებს, რომ მას შემდეგ, რაც პროკურატურამ მიიღო ეს ინფორმაცია მამალაძის მოგვარისგან, უშიშროების სამსახური, სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, თვით პატრიარქის დაცვა ან იგივე „საურონ-შორენა“ დაუშვებდნენ, დეკანოზს პატრიარქთან ისეთივე „თავისუფალი წვდომა“ ჰქონოდა, როგორც ადრე, როცა, როგორც გვეუბნებიან, „საჭმელიც მას შეჰქონდა და სასმელიც?“. განა თვით დეკანოზი ამ ცვლილებას ვერ იგრძნობდა და ვერაფერს იეჭვებდა? და რაკი იეჭვებდა, ზომებს არ მიიღებდა, რათა ყველაფერი ისე მოეწყო, — მაქსიმალური აბსურდის შთაბეჭდილება გაჩენილიყო („გერმანიაში მიდიოდა ციანიდით ბარგში“), ხოლო წერილი, რაც უკვე დაპატიმრების შემდეგ გამოქვეყნდა, მანამდე ყოფილიყო მზად — იმ მომენტისთვის, როცა მაქსიმალური ეფექტი მოჰყვებოდა?

დიდი გნიასის მიუხედავად, ამ ბუნებრივ კითხვებს „რატომღაც“ არავინ სვამს.

* * *

პროკურატურას აშკარად არ სურდა საქმის გახმაურება, ანუ მთელი ამ სიბინძურის „გარეთ“ გამოტანა. ბოლო მომენტამდე ჩქმალავდნენ.

მიზეზი, თუ რატომ არ სურდა, ორივე ინტერპრეტაციას გააერთიანებს:

1) უფრთხილდებოდა გავლენას, რაც სახელმწიფომ ეკლესიაზე მოიპოვა გვარიანი რენტის გადახდით — საზოგადოებრივ აზრზე ეკლესიის ზეგავლენის გამოსაყენებლად ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის ეპოქიდან.

2) უნახავდა „ნამუსს“ ერთადერთ მართლა ავტორიტეტულ საერთო-ეროვნულ სახელმწიფო ინსტიტუტს, რომლის ასეთი ზნეობრივი „დამხობა“ უდიდესი დარტყმაა არა მხოლოდ ეკლესიაზე, არამედ სახელმწიფოებრიობასა და თვით ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეაზეც კი.

თანაც, პირველი მოტივი მეორეს სულაც არ ეწინააღმდეგება და პირიქით.

აქვე უნდა ითქვას, რომ მტკნარი სისულელეა, თითქოს ამ გზით შესაძლებელია „ეკლესიის განწმენდა“, მისი „განახლება“ და ა.შ. არანაირი „განწმენდა“ მთელი ამ სიბინძურის გარეთ გამოტანით არ მოხდება: საჯაროობით შესაძლებელია საპრეზიდენტო ინსტიტუტის, პარლამენტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ან სხვა ამგვარი სტრუქტურების „გაწმენდა“, მაგრამ არა ისეთი ინსტიტუტისა, როგორიცაა ეკლესია, რაკი მისი საფუძველთა-საფუძველი საკრალურობაა, რის გარეშეც იგი იოლად იქცევა ჩვეულებრივ „ფულის საკეთებელ საამქროდ“.

* * *

ბუნებრივია, მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლებისთვის, ბრძოლა „ტახტისთვის“ და ასე შემდეგ, ხოლო „შორენაზე“ აქცენტის გადატანა ჩვეულებრივი პოლიტტექნოლოგიური ხრიკია, ანუ ელემენტარული გაიძვერობა: „ტახტის“, პატივის, ღირსებისა და „ოქროს ჯვრის“ მოსურნეთ ჯერჯერობით არ სურთ ან არ შეუძლიათ, „დაარტყან“ თვით პატრიარქს და ბევრს ლაპარაკობენ მის ვითომდაც ყოვლისშემძლე „გარემოცვაზე“, რომელიც თურმე „უმალავს“ პატრიარქს სიმართლეს და ა.შ.

მეორეს მხრივ, განა „ასეთი“, ან ბევრად უარესი არ მომხდარა რომის წმინდა საყდართან? პაპების გარშემო, მათ ბუდუარებსა და გარემოცვაში რომ ამბები ტრიალებდა, ჩვენს ეკლესიას არც გამოეცხადება, მაგრამ ეს იყო დიიიიიიიდი ხნის წინათ - საუკუნეთა მიღმა. ხოლო XX საუკუნეში, 1929 წელს, გაფორმდა ლატერანის ხელშეკრულება, ანუ კონკორდატი, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნას!

მისგან განსხვავებით, შევარდნაძის ხელმოწერილი და მთელი ქართული ელიტის მხარდაჭერილი „კონკორდატი“ გულისხმობდა არა გამიჯვნას, არამედ შერწყმას: ეკლესიის დომინირებას და, სამაგიეროდ, ხელისუფლებათა მხრიდან დიდძალი რენტის გადახდას.

ეკლესია იქცა ძალაუფლების მალეგიტიმიზებელ (ჟარგონით თუ ვიტყვით „გამპრავებელ“) სუბიექტად. ხოლო „კორუფციის“ ლინგვისტური მნიშვნელობა „ხრწნაა“.

ზუსტად ასე გაიხრწნა ბიზანტია, როდესაც უკვე ველარავინ არჩევდა, სად მთავრდებოდა სახელმწიფო და სად იწყებოდა ეკლესია.

* * *

შევარდნაძის „საგადასახადო შეღავათებისა“ და სააკაშვილის „შავი ჯიპების“ შედეგად, მივიღეთ საოცარი კორპორაცია, რომლის უმაღლესი იერარქია (ძალიან ბევრ პატიოსან მღვდელს ეს ნამდვილად არ ეხება - მადლობა ღმერთს, ასეთებიც არიან) შედგება ბობოლა „ანაფორიანი ბიზნესმენებისაგან“.

მრევლი კი, არათუ ვერ ამჩნევდა, არამედ ვერ ხვდებოდა და დღემდე ვერ ხვდება, რომ ამ „ანაფორიანთა“ მიღმა იდგნენ მათი შვილები, შვილიშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, რომლებსაც „ეკლესიურობისა“ არაფერი სცხიათ: მილანში მოგზაურობენ, დოლჩე-გაბანასა და ვერსაჩეს მაღაზიებში იცმევენ, პარიზის ქუჩებში „ფერარით“ სეირნობენ და ა.შ. მათთვის ეს ყოველივე საყვარელი მამის (ბაბუის, ბიძის, დეიდის, ქმრის და ა.შ) სარფიანი ბიზნესია, მეტი არც არაფერი.

ამქვეყნიურმა სიამემ კი „მიჩვევა იცის“ და, როდესაც, ბიზნესის ურყევ კანონთა შესაბამისად, ალმავლობას დაცემა და კრიზისი, ან სულაც კოტრება მოსდევს, იწყება ურთიერთღრღნა, განაწყენება, ქიშპი, ანუ ძველის-ძველი ქართული „ერთმანეთის ჭამა“, რასაც ახლა ვადევნებთ თვალსა და ყურს.

სად არის გამოსავალი? არსად! ბიზანტიას მომავალი არ ჰქონდა...

**ნიკა იმნაიშვილი**

## პირადობის მოწმობის უფასოდ გაცემის კიდევ ერთი აქცია დაიწყო

**იუსტიციის მინისტრის ბრძანებით საარჩევნო სიის დახვეწის პროექტის ფარგლებში პირადობის მოწმობის უფასოდ გა-**



**ცემის კიდევ ერთი აქცია დაიწყო. 15 თებერვლიდან 31 ოქტომბრამდე პირადობის მოწმობის აღებას უფასოდ შეძლებს მოქალაქეთა შემდეგი კატეგორია:**

რომელთაც არ გააჩნიათ არც ერთი მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, პასპორტი);

რომელთა რეგისტრაციის მისამართი ფიზიკურად აღარ არსებობს (არასრული/არარსებული ან ლიკვიდირებული მისამართი);

მონაცემთა ბაზაში უსურათო/უხარისხო ჩანაწერის მქონე მოქალაქეები;

რეგისტრაციიდან მოხსნილი საქართველოს მოქალაქეები;

მისამართის გარეშე რეგისტრირებული პირები, თუ ისინი რეგისტრაციას გაივლიან იდენტიფიცირებად მისამართზე.

აქცია შეეხება სრულწლოვან და იმ პირებს, რომელთაც აქციის დასრულებამდე უსრულდებათ 18 წელი.

იმისათვის, რომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს არ შეეზღუდოს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება, დოკუმენტის გაცემისას მოქალაქეები თავისუფლდებიან როგორც საბუთის, ისე ფოტოსურათის გადაღებისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან.

## შვედები ქართული ღვინით დაინტერესდნენ

**ღვინის ეროვნული სააგენტოს, შვედეთი-საქართველოს სავაჭრო პალატის, შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოსა და ქართული ღვინის კომპანიების მხარდაჭერით სტოკჰოლმში ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა.**

ღონისძიება ემსახურებოდა ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას, შვედეთის ღვინის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციას, ადგილობრივ მომხმარებელში და პროფესიონალებში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას.



ღონისძიებას შვედეთის სასტუმროებისა და რესტორნების მფლობელები, ღვინის იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ. ქართულმა ღვინომ სტუმრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა, რის გამოც, მათმა ნაწილმა გადაწყვიტა, გაზაფხულზე პირადად ეწვიოს საქართველოს და ადგილზე გაეცნოს ქართული ღვინის კულტურასა და ღვინის კომპანიების საქმიანობას.

საქართველო-შვედეთის წარმომადგენლობის მიზანია ქართული ღვინის კომპანიების გაერთიანება ქართული ღვინის დასამკვიდრებლად სკანდინავიის ქვეყნების ბაზრებზე — შვედეთი, ნორვეგია და ფინეთი — სადაც ყოველწლიური ღვინის საშუალო მოხმარება ჯამში 330 მლნ. ლიტრს შეადგენს.

# კანონი „ყეფს“, ონლაინ სესხების „ქარავანი“ კი მიდის!

**2000-იანი წლების ბოლოს ინტერნეტსივრცის განვითარებამ, მასზე ხელმისაწვდომობის ზრდამ, „დროის დაჩქარებამ“ და კიდევ მრავალმა ასეთმა ფაქტორმა მსოფლიოს ახალი პროდუქტის შექმნაზე უბიძგა. ეს პროდუქტი ონლაინ სესხებია, რომელიც ზუსტად ასახავს თანამედროვე ადამიანის მოთხოვნას – სახლიდან გაუსვლელად უმოკლეს დროში მიიღოს ხელმისაწვდომობა ფულად სახსრებზე მოკლევადიანი ფინანსური პრობლემის დასაფინანსებლად!**

ონლაინკრედიტების კომპანიები საქართველოს არასაბანკო სესხების ბაზარზე 2013 წლიდან გამოჩნდნენ. მათ მიერ გაცემული სესხების პორტფელი არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ინფორმაციით, ნახევარ მილიარდ ლარზე მეტია, ხოლო, ორგანიზაცია „კრედიტინფოს“ მონაცემებით, 4 მილიონი ჩანაწერია აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებით.

აგრესიულმა სარეკლამო კამპანიამ საქართველოს მოსახლეობაში ნელ-ნელა ინტერესი გამოიწვია. საბოლოო ჯამში მოთხოვნა ისე გაიზარდა, რომ მომხმარებლის მატებასთან ერთად ყოველდღიურად ბაზარს ემატებოდა კომპანიები, რომლებიც იმავე ტიპის მომსახურებას სთავაზობდნენ მსესხებლებს.

მოთხოვნის პიკი დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინ იქნა მიღწეული, მანამ, სანამ მომხმარებელთა გარკვეულ რაოდენობას პრობლემები არ შეექმნათ ვალის დაბრუნებასთან დაკავშირებით. გაპრობლემებული სესხი, მაღალი საპროცენტო სარგებელი, „გაფუჭებული“ საკრედიტო ისტორია – ამ ყველაფერმა ნელ-ნელა უარყოფითი დამოკიდებულება გაზარდა ონლაინ სესხების გამცემი ორგანიზაციების მიმართ და ასევე, უბიძგა სახელმწიფო ორგანოებს ბაზრის რეგულირებისკენ.

ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავეს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში გაცემული სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 100%-ს, მათ შორის, სესხის ვადის გაგრძელების შემთხვევაში. სესხის ვადის გაგრძელებად ითვლება არსებული სესხის დაფარვიდან ახალი სესხის გაცემა 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

ასევე საკანონმდებლო ცვლილებაში არის პუნქტი, სადაც საუბარია, რომ სესხის შემთხვევაში ყველა საკომისიოს, საპროცენტო სარგებლის, სესხის გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფინანსური ხარჯის, ასევე სესხის გაცემის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევისთვის მსესხებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ან ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გაცემული სესხის ძირი თანხის ორმაგ ოდენობას.



აღნიშნული კანონპროექტი 2016 წლის 29 დეკემბერს დაამტკიცა პარლამენტმა, 2017 წლის 13 იანვარს ხელი მოაწერა საქართველოს პრეზიდენტმა, ხოლო ძალაში 2017 წლის 15 იანვრიდან შევიდა.

სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლების განცხადებით კანონპროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იყო საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება.

მსოფლიო პრაქტიკაში სესხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ტიპის შეზღუდვები არსებობს, ძირითად შემთხვევაში დადგენილია საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი. რიგ ქვეყნებში შეზღუდვა დღიურ, თვიურ ან ერთჯერადი სახით გაცემულ განაკვეთებზე ხდება და ზღუდავს ჯამურად გადასახდელ თანხას. თუმცა, არსებობს რეგულაციების ნეგატიური გამოცდილებაც, რამაც მოთამაშის ბაზრიდან გასვლა გამოიწვია.

საქართველოს ონლაინ სესხების ბაზარზე მომუშავე კომპანიებმაც ივარაუდეს, რომ მიღებულმა რეგულაციამ შეიძლება მათ აიძულოს ბაზრის დატოვება, თუმცა იმ რეალობიდან გამომდინარე, რაც დადგა ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ, ეს ნაკლებად სავარაუდოა.

საქმე ისაა, რომ ამ კომპანიებმა კარგად შეძლეს მორგებოდნენ კანონის ცვლილებას და სიტყვების თამაშის საფუძველზე არ შეეცვალათ თავიანთი მოგება. თუ ისინი ადრე მოგებას იღებდნენ სესხის გადავადების ხარჯზე, ახლა ძირითადი შემოსავლის წყარო გახდა სესხის ვადაგადაცილების პირგასამტეხლო, რომელსაც მსესხებელი წინასწარ იხდის, რაც თანხობრივად იგივე ხარჯია მომხმარებლისთვის. მაგალითის სახით რომ ავიღოთ, თუ მომხმარებელს 250-ლარიანი სესხი 1 წლის განმავლობაში 540.01 ლარი უჯდებოდა, ანუ 216 %, დღეს 534.51 ლარი დაუჯდება, ანუ 213,8%, რაც მხოლოდ 2,2-პროცენტიან სხვაობას გვაძლევს!

როგორც ვხედავთ, ცვლილებამ კანონში რეალურ შედეგამდე ვერ მიგვიყვანა და ონლაინ სესხების გამცემი კომპანიები კანონის გვერდის ავლით მარტივად ახერხებენ იმ შემოსავლის მიღებას, რომელიც მცირედით განსხვავდება ძველი მონაცემისგან.

საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ონლაინ სესხებს შეეხო, მისასალმებელია, რადგან, მისი ძალაში შესვლის შემდეგ კრედიტორების უფლებები უფრო მეტად დაცული უნდა იყოს, თუმცა, ბაზარზე არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მხოლოდ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე მაქსიმალური ზღვრის დაწესება შეიძლება საკმარისი არ იყოს პრობლემის მოსაგვარებლად. თანაც ეს ზღვარი – 100% ძალიან მაღალია და ის მინიმუმ ორჯერ ნაკლებით უნდა შეიცვალოს!

კარგი იქნებოდა, თუ დამატებით გაითვალისწინებდნენ, როგორც სხვა ქვეყნების მაგალითებს, ასევე ექსპერტების მოსაზრებებს, რომელიც შეეხება ასაკობრივ (22 წლამდე), ერთ პიროვნებაზე გაცემული პარალელური სესხების რაოდენობის და სესხის რამდენჯერმე გადავადების შეზღუდვებს. დამატებით მნიშვნელოვანი იქნება თუ გადამოწმდება მსესხებლის გადახდისუნარიანობა და საკრედიტო ისტორია.

**სალომე ყანჩაველი**

## მამუკა ხაზარაძე: ონლაინ სესხებით ადამიანები უბედურდებიან!

**თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე მიიჩნევს, რომ ონლაინ სესხებს მკაცრი რეგულაცია სჭირდება.**

**– იმას, რაც დღეს ონლაინ სესხებთან დაკავშირებით ხდება, რა თქმა უნდა, ჩვენ არ გავაკეთებთ, რადგან ეს სწორი არ არის. სესხის გაცემას გავაადვილებთ, ბუნებრივია, მაგრამ არა ისე და იმ პროცენტებით...**

**ვფიქრობ, ყველამ უნდა გაიგოს, ონლაინ სესხი რა არის – ეს არის ძალიან მაღალპროცენტიანი სესხი და მისი ხიბლი იმაშია, რომ ვითომ 5 წუთში გიმტკიცდება,** მაგრამ ადამიანი ვერ გრძნობს, ეს რამხელა პროცენტზეა გათვლილი, საბოლოო ჯამში, ძალიან ბევრი ადამიანი უბედურდება.



**ჩემი აზრით, ამას მკაცრი რეგულაციები სჭირდება, რადგან საბოლოო ჯამში, ეს ყველას მაინც ბანკი ჰგონია. ადამიანები 100,200 ან 1000 ლარს იღებენ ონლაინ სესხით და იმ შედეგებზე არ ფიქრობენ, რომელიც ამას მოჰყვება. ვიმეორებ, ამას მკაცრი რეგულირება სჭირდება, რომ ბანკებისგან გაიმიჯნოს, – აცხადებს მამუკა ხაზარაძე.**

**„ბიზნესკონტაქტი“**

# საქართველო ეკონომიკის თავისუფლების მიხედვით მსოფლიოში მე-13 ადგილზეა

Heritage Foundation-ის მიერ გამოქვეყნებული ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ანგარიშის თანახმად, საქართველო ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით მსოფლიოს 186 ქვეყანას შორის მე-13 ადგილზე, ხოლო ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის მე-5 ადგილზეა.

**„მსოფლიოში აღიარებული გავლენიანი ორგანიზაციის მიერ ამჟამად გამოქვეყნებული, 2017 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო შევიდა მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით გამორჩენილ ქვეყნების ოცეულში, რაც ძალიან სასიხარულო ფაქტორია ჩვენთვის. 2017 წლის მონაცემებით, საქართველომ დაიკავა მეცამეტე ადგილი, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის პოზიციები, წინა წელთან შედარებით, 10 საფეხურით გაუმჯობესდა“** – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ნინო ჯავახაძემ.

მინისტრის მოადგილის თქმით, ეს რეიტინგი ზომავს ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს, ასევე სხვადასხვა ინსტიტუტების ხარისხსაც, რაც ქვეყნის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

აღნიშნული ინდექსი ყოველწლიურად ქვეყნდება და 200-მდე ქვეყნისათვის იკვლევს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს. რეიტინგი თითოეული ქვეყნისათვის განიხილავს საკანონმდებლო, სახელმწიფო მმართველობის, რეგულირებისა და ვაჭრობის ეფექტიანობასა და ხარისხს, რაც აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის.



ეკონომიკური თავისუფლების აღნიშნული ინდექსის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 2016 წელთან შედარებით 10 პოზიციით (2016 წელს: 23-ე ადგილი), ხოლო 2012 წელთან შედარებით 21 პოზიციით (2012 წელს: 34-ე ადგილი) გაუმჯობესდა. საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების სტატუსი არის: „ძირითადად თავისუფალი“, ხოლო მისი მთლიანი ინდექსის ქულა 76-ს შეადგენს, რაც გასულ წელთან შედარებით 3,4-ით, ხოლო 2012 წელთან შედარებით 7 ქულით მაღალია.

2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი, 2012 წელთან შედარებით, რადიკალურად გაუმჯობესდა შემდეგი მიმართულებებით:

საკუთრების უფლების დაცვა; ფისკალური სიჯანსაღე; სახელმწიფო ხარჯები; მონეტარული თავისუფლება; საინვესტიციო გარემო; საქართველო ეკონომიკური თავისუფლების მიხედვით რეგიონში (კლასიფიცირებულია ევროპის რეგიონად) მე-5 ადგილზეა და მას მხოლოდ ისეთი ქვეყნები უსწრებს, როგორებიცაა გაერთიანებული სამეფო, ირლანდია, ესტონეთი და შვეიცარია. იმავე რეგიონში საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის მიხედვით ჩამორჩებიან ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორებიცაა ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ლიტვა, დანია, შვედეთი, ლატვია, ისლანდია, ფინეთი, ნორვეგია, გერმანია, ჩეხეთი, ავსტრია და სხვ.

# ილია მეორის წყალობით, ორ ქვეყანას შორის არსებული სირთულეების მიუხედავად საეკლესიო კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდა



**რუსული გამოცემა „РИА Новости“, ე.წ. ციანიდის საქმესთან დაკავშირებით რუსი სასულიერო მოღვაწეების კომენტარებს აქვეყნებს, რომლის ქართულენოვან ვერსიას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:**

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენლის იგორ იაკიმჩუკის თქმით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის სავარაუდო მოწამვლასთან დაკავშირებული ისტორია ამ მომენტისათვის საკმაოდ უცნაურია: **„რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, გამოძიების შედეგებს უნდა დაველოდოთ. მთელი ეს ისტორია საკმაოდ უცნაურად გამოიყურება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ უბრწყინვალესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დღეს სამკურნალოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებსგარეთ იმყოფება“,** — თქვა იგორ იაკიმჩუკმა, — **„რუსეთის ეკლესიას ჯერ ვერ გაურკვევია, სინამდვილეა თუ არა მოწამვლის მცდელობის შესახებ ცნობები თუ საქმე გვაქვს საინფორმაციო ბრძოლის რაღაც გამოვლინებასთან“.**

მოსკოვის პატრიარქატის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მოსკოვის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის კურსდამთავრებულია და ამიტომაც მას რუსეთის ეკლესიის მიმართ კეთილი დამოკიდებულება აქვს: **„ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ყველაზე კრიტიკული მომენტების მიუხედავად, საეკლესიო კავშირები კი არ გაწყვეტილა, პირიქით, კიდევ უფრო განმტკიცდა“,** — ხაზი გაუსვა იგორ იაკიმჩუკმა.

ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწის, დეკანოზ ვსევოლოდ ჩაპლინის აზრით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწამვლის მცდელობასთან დაკავშირებული შეთქმულების სავარაუდო საფუძველს პოლიტიკური მოტივები წარმოადგენს. როგორც ჩანს, ამ ყველაფრის უკან უცნობი პირების სურვილია გამოხატული — ჩაერიონ საეკლესიო საქმეებში .

**„ვშიშობ, რომ აქ ქართველი პოლიტიკოსების რაღაც თამაშებთან გვაქვს საქმე. მათგან ზოგიერთს შესაძლოა, პატრიარქის თავიდან მოშორების სურვილი აქვს. არაა გამორიცხული, რომ ეს ისტორია ეკლესიაზე ზეწოლისათვის გამოიყენება.. პატრიარქი ილია II ძალიან პატივცემული ადამიანია, იგი თანამედროვე მსოფლიოში მართლმადიდებლური კონსერვატიზმის ერთ-ერთ სიმბოლოდ ითვლება. ალბათ, ვიღაც ცდილობს, ამგვარად ჩაერიოს ეკლესიის შიდა საქმეებში. ცნობილია, რომ ილია II-ის ავტორიტეტი მტკიცეა და მას ვერც ერთი ქართველი პოლიტიკოსის ავტორიტეტი ვერ შეედრება. შეიძლება ვიღაცას შური და ეჭვიანობა ამოძრავებს. ასეა თუ ისე, ეს ძალიან საგანგაშო ინფორმაციაა და ვფიქრობ, მას პოლიტიკური სარჩული აქვს“,** — განაცხადა ვსევოლოდ ჩაპლინმა რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „Национальная Служба Новостнй“-ს კორესპონდენტთან საუბარში.

„РИА Новости“,
„Национальная Служба Новостнй“



# აგვისტოს ომის პროვოცირება საქართველოს მთავრობამ მოახდინა, რითაც პუტინმა ისარგებლა და ქვეყნის ნატოში გაწევრიანების გეგმები ჩაშალა

ინსბრუკის უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი გერჰარდ მანგოტი გაზეთ „Wiener Zeitung“-სთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ საუბრობს: მოსკოვის დამოკიდებულებაზე ნატო-ევროკავშირის მიმართ, კრემლის კავშირებზე ევროპის ულტრამემარჯვენე ძალებთან და ა.შ. ავსტრიელ ექსპერტი საქართველოს შესახებაც გამოხატავს თვალსაზრისს. მას კორესპონდენტი ევა ცელეხოვსკი ესაუბრება.

**„რუსეთის ლიდერის მიერ აშშ-ისა და ევროკავშირისადმი გაწვდილი ხელი 2000-იანი წლების დასაწყისში გულწრფელი ჟესტი იყო. იმ ხანებში ვლადიმერ პუტინი დაინტერესებული იყო დასავლეთთან დაახლოებით, მაგრამ ვაშინგტონმა და ბრიუსელმა ნაადრევად უარყვეს მისი ინიციატივა. ჯორჯ ბუშის რესპუბლიკურმა ადმინისტრაციამ აშკარად დაამდაბლა რუსეთის პოზიცია. ამერიკელებმა ჩათვალეს, რომ რუსეთი აღარაა გავლენიანი სახელმწიფო და მისი ბედი ბეწვზე ჰკიდიაო.. ამერიკის საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელიც ნეოკონსერვატორებმა განსაზღვრეს, ეფუძნებოდა იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა თავისი პოლიტიკა ლიბერალური ჰეგემონიის სახით უნდა გაატაროსო. ეს იყო ქედმაღლური ერთპოლუსიანი პოლიტიკა, რომლის დროსაც რუსეთის ინტერესები მხედველობაში არ მიიღებოდა“,** — ამბობს გერჰარდ მანგოტი და ამის დამადასტურებელი ფაქტებიც მოჰყავს:

**„აშშ-ის მიერ ანტირაკეტული ხელშეკრულების გაწყვეტა, ნატოს „მეორე ტალღის“ გაფართოება, ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყება გაეროს მანდატის გარეშე, ვარდების რევოლუცია — საქართველოში და ნარინჯოვანი — უკრაინაში, კოსოვოს დამოუკიდებლად აღიარება, უკრაინისა და საქართველოს მიწვევა ნატოში გაწევრიანების მიზნით. ყოველივე ამან ვლადიმერ პუტინის გაუცხოება, წყენა და მისი იმედგაცრუება გამოიწვია. ასე რომ, ის ვლადიმერ პუტინი, რომელიც 2012 წელს პრეზიდენტად აირჩიეს, 2001 წლის ვლადიმერ პუტინს აღარ ჰგავდა. მისი საგარეო პოლიტიკა ბოლო წლებში ემყარება ერთ მომენტს: დასავლეთი რუსეთს მუდმივად ატყუებს, ყურადღებას არ აქცევს მოსკოვის ინტერესებს და, ცხადია, რუსეთმაც საპასუხო ნაბიჯი უნდა გადადგას. რუსეთის მოსახლეობა ფიქრობს, რომ დასავლეთი ამ უზარმაზარი ქვეყნის ინტერესებს არ იზიარებს: „მოსკოვმა თამაშის წესები თვითონ არ უნდა განსაზღვროს, არამედ სხვის მიერ დაწყებულს უნდა დაეთანხმოს“.**

კითხვაზე, შეუძლია თუ არა რუსეთს აღმოსავლეთ უკრაინაში და სირიაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების ფონზე თამაშის წესების კარნახი, პოლიტოლოგი პასუხობს:

**„2008 წელს რუსეთმა (დასავლეთისათვის) „წითელი ხაზები“ განსაზღვრა. ნატოს ბუქარესტის სამიტი, როცა საქართველოს და უკრაინას ნატოში გაწევრიანება აღუთქვეს, რუსეთმა ამ „წითელი ხაზების“ დარღვევად და თავისი სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფად აღიქვა. რუსეთის ჩარევას სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში 2008 წლის აგვისტოში, რომლის პროვოცირება საქართველოს მთავრობამ მოახდინა, ის მიზანი ჰქონდა, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტები გააქტიურებულიყო და ამით თბილისს ხელი შეშლოდა ნატოში გაწევრიანების გეგმებში. იგივე მოხდა უკრაინაში 2014 წელს. ეს იყო რუსეთის პასუხი დასავლეთის იმ პოლიტიკაზე, რომელიც უკრაინის ევროპულ ინტეგრაციას ითვალისწინებდა“.**

„Wiener Zeitung“ (ავსტრია)

# დასვენება საქართველოში: ზღვა, მზე, უვიზო რეჟიმი და არავითარი რისკები

რუსული გამოცემა „Военное обозрение“-ს მიერ ოლეგ ეგოროვის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია ეხება ისეთ თემებს, რომლებიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული — ტურიზმი და ადამიანთა უსაფრთხოება. პუბლიკაციაში განხილულია იმ ქვეყნებში არსებული სიტუაცია, სადაც რუსეთის მოქალაქეებს მოგზაურობა შეუძლიათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ტურიზმის განვითარება პრობლემებს აწყდება. მასში მოხსენიებულია საქართველოც.

**„ევროკავშირის ქვეყნებში ბევრი რუსი მოგზაურობს, მაგრამ მასობრივი ტურიზმისათვის ხელშემშლელი ფაქტორებია ვიზების პრობლემა... ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში, მაგალითად, ტუნისში და ეგვიპტეში ბევრი რუსი დადიოდა, მაგრამ „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ წამსვლელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა — ტუნისში ტურისტებს პირდაპირ პლაჟზე ხვრეტდნენ... გარდა ამისა, ტურისტული ნაკადის შემცირებაში ნეგატიური როლი შეასრულა რუსეთის სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოგდებამ სინაის ნახევარკუნძულზე, რომელიც, როგორც ამბობენ, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების ხელი ურევია (...).**

**თურქეთს რაც შეეხება... მილიონობით რუსი ტურისტი ისვენებდა თურქეთში, მაგრამ აქაც უსაფრთხოების პრობლემა დადგა, როცა სირიის კონფლიქტის დროს თურქეთმა რუსეთის სამხედრო თვითმფრინავი ჩამოაგდო. ამჟამად თითქოს სიტუაცია უმჯობესდება, მაგრამ ტურისტთა ადრინდელ რაოდენობამდე ჯერ შორსაა...**

**ბალტიისპირეთი. საბჭოთა დროს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში რუსები დასვენებას საკმაოდ მიჩვეულნი იყვნენ. 1990-იან წლებში ევროკავშირლებმა ადგილობრივი მრეწველობა თითქმის მთლიანად მოსპეს და ლიტველ-ლატვიელ-ესტონელებს ურჩიეს, რომ მხოლოდ ტურიზმი განევითარებინათ... კი, ბატონო, მაგრამ განა ბევრი დადის დღეს იმავე ევროკავშირის ქვეყნებიდან დასასვენებლად რიგის ზღვისპირზე? რუსები კი მიჩვეულები იყვნენ. იქვე ახლოს ხომ უდიდესი მეგაპოლისია - სანკტ-პეტერბურგი, პლუს მოსკოვიც... ბალტიისპირეთში ცივი ზღვაა, მაგრამ რუსებისთვის ეს პრობლემა არაა. მათთვის აქაური არქიტექტურა და პლაჟები ნაცნობია, ნორმალური ხელისუფლება რუს ტურისტებს ყველა პირობას შეუქმნიდა, მაგრამ, მოგეხსენებათ — ნატო, ვიზა, რუსოფობია... (...)**

**თითქმის იგივე ხდება უკრაინასთან მიმართებით...**

**კიდევ ერთი ქვეყანა (ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან ერთად), რომელსაც მეტნაკლებად კარგად ცხოვრება შეუძლია რუსი ტურისტების ხარჯზე, ეს საქართველოა. კავკასიის მზიური რესპუბლიკა საბჭოთა პერიოდიდანაა ცნობილი — ღვინო, სამზარეულო, ბუნება, თბილი ზღვა და უამრავი ღირსშესანიშნაობანი. უსაფრთხოება დაცულია, მაგრამ... საქართველოს ტურისტული მიმართულება ჯერჯერობით მხოლოდ რუსეთშია პოპულარული. ქართულ ღვინოს ძირითადად მხოლოდ რუსეთში იცნობენ, მხოლოდ რუსეთში სვამენ. როგორც ცნობილია, გემო და ტრადიცია ათწლეულობით, თაობიდან თაობამდე ყალიბდება. სხვათა შორის, ეს კურორტებსაც ეხება. ევროპელს შეუძლია 20-30 წელი ერთიდაიგივე კურორტზე იაროს, დაისვენოს, ძნელია მათი „გადაბირება“. ხსაქართველოც ოდესმე გადაიბირებსჯ, მაგრამ ამჟამად იქ ძირითადად მხოლოდ რუსები მოგზაურობენ. ზღვა, მზე, „უვიზო რეჟიმი“ და არავითარი რისკები...**

topwar.ru (რუსეთი)



წინ, საქართველო!

# ნიკა ეგაძის ოქროს ტოლფასი ბრინჯაო



**ერზრუმში მიმდინარე ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ქართველმა მოციგურავემ ნიკა ეგაძემ. მოკლე პროგრამის შემდეგ ნიკა მეექვსე ადგილზე იყო, თავისუფალ პროგრამაში კი უფრო დამაჯერებლად გამოვიდა და საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა. როგორც საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტმა მარიამ გიორგობიანმა გვითხრა, ნიკა ფესტივალის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა, ძალიან ნიჭიერი სპორტსმენია და წინ დიდი მომავალი აქვს.**

საქართველოს სპორტსმენთაგან ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალებზე აქამდე ერთადერთი მედალი მოპოვებული ჰქონდა ვახტანგ მურვანიძეს, რომელმაც 1997 წელს სუნდსვალში (შვედეთი) ასევე ფიგურულ ციგურაობაში მეორე ადგილი დაიკავა. 2015 წელს გამართულ ფესტივალზე ქართველთაგან საუკეთესო შედეგი აჩვენა ირაკლი მაისურაძემ — V ადგილი ფიგურულ ციგურაობაში.

**ბეჟან დოლიძე**

ჩოგბურთი

# ბასილაშვილმა ტომპსონს რევანში აუღო



**საქართველოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა მემფისის ღია ტურნირის პირველ წრეში ამერიკელი ჯორდან ტომპსონი დამაჯერებლად, ერთი ამოსუნთქვით, 1 საათსა და 6 წუთში 6:3, 6:0 დაამარცხა და მერვედფინალში გავიდა. მსოფლიოს რეიტინგში 67-ე პოზიციაზე მყოფმა ქართველმა მეტოქეს სრულფასოვანი რევანში აუღო. მიმდინარე წლის 10 იანვარს ბრისბენის ტურნირის პირველ წრეში ნიკამ ტომპსონთან 5:7, 2:6 წააგო.**

კარლოვიჩი აულებელი დარტყმებითაა ცნობილი, ნიკას აქამდე ორჯერ შეხვდა და ორჯერვე ხორვატმა იმარჯვა. 2015 წელს კუალა ლუმპურში ივომ ქართველი 7:5, 4:6, 6:3 დაამარცხა, მანამდე კი დოჰაში მეტოქეს 7:6, 6:3 სძლია.

ტომპსონის დამარცხებით ბასილაშვილმა 20 სარეიტინგო ქულა და 10, 975 დოლარი გამოიმუშავა. ATP-ის ლაივ-რეიტინგში კი ქართველმა პოზიცია ორი ადგილით გაიუმჯობესა და 65-ე პოზიციაზეა.

**ბადრი იაშვილი**

ფეხბურთი

# „ბაიერნი"-„არსენალის" რეალური კოშმარი

**ლონდონის „არსენალისთვის", როგორც ჩანს, ჩემპიონთა ლიგაზე მერვედფინალი მაქსიმუმია — ყოველ შემთხვევაში, „მეთოფეებს" ეს ბარიერი 6 სეზონია არ გადაულახავთ და ძნელად დასაჯერებელია, რომ ამის გაკეთება ამ ჯერზე მაინც შეძლონ — „ბაიერნმა" ინგლისელებს თავბედი აწყევლინა და გამანადგურებელი ანგარიშით, 5:1 მოუგო. ეგ კი არა, კარლო ანჩელოტის შეგირდებმა მეორე ნახევარი ისეთი შემართებით ჩაატარეს, ადვილად შესაძლებელი იყო, კიდევ გაეტანათ რამდენიმე გოლი.**

არადა, პირველი ტაიმი არსენ ვენგერს და მის გუნდს ასეთ კოშმარულ საღამოს სულაც არ უქადდა მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისშივე არიენ რობენმა ბრწყინვალე გოლი გაიტანა ჩვეულ სტილსა და საყვარელი პოზიციიდან, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლონდონელებმა ტაიმის შუაწელს საკუთარი თამაში იპოვეს და მანუელ ნოიერის კართანაც ჩამოცხა — ალექსის სანჩესმა თავის გაფუჭებულ პენალტს ჩინებულად დაამატა და 1:1. სხვათა შორის, ნოიერმა ჩემპიონთა ლიგაზე ბოლო სამი თერთმეტმეტრიანიდან მეორე მოიგერია და ისიც საგულისხმოა, რომ აღნიშნული სამი პენალტიდან მის კარში არც ერთი გასულა: ერთი მეტოქე ფეხბურთელმა კარს ააცილა. თამაშს დავუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ „არსენალმა" ტაიმის ბოლო ნაწილში რამდენჯერმე მწვავედ შეუტია მეტოქეს და რომ არა მანუელ ნოიერის მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, სტუმრები მეორე გოლსაც გაიტანდნენ.



მას შემდეგ, რაც ტრავმის გამო კოშელნი გაიყვანეს, სიტუაცია შეიცვალა, „არსენალი" მოედნიდან გაქრა, ხოლო „ბაიერნი" მეტოქის საჯარიმოს თამაშის ბოლომდე არ მოსცილებია. რობერტ ლევანდოვსკიმ პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომა გამოასწორა (თერთმეტმეტრიანი სწორედ მისი მხრიდან თამაშის წესის დარღვევის შემდეგ დაინიშნა) და ფილიპ ლამის ფლანგური გადაცემის მერე „ბაიერნი" დაწინაურდა. აღსანიშნავია, რომ პოლონელმა „ალიანს არენაზე" ჩემპიონთა ლიგის ბოლო 13 მატჩში 15 გოლის გატანა შეძლო. მერე ტიაგო ალკანტარას ჯერი დადგა, რომელმაც დუბლი გაიფორმა. განსაკუთრებით გამოსაყოფია პირველი გოლი, როდესაც ლევანდოვსკის დიდოსტატური გადაცემა შეირგო ესპანელმა. სამი გოლი „რეკორდმაისტერმა" 10-წუთიან ინტერვალში გაიტანა. შეხვედრას წერტილი ტომას მიულერმა დაუსვა ალექს ოქსლეიდ ჩემბერლენის ბავშვური შეცდომის შედეგად და გამანადგურებელი — 5:1.

„არსენალმა" ანტირეკორდები ბლომად დაამყარა: კერძოდ, გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ სტადიაზე ორჯერ წააგო თამაში ოთხბურთიანი სხვაობით. პირველად ეს 2012 წლის თებერვალში, „მილანთან" (0:4) მოხდა. „მეთოფეებმა" ბოლოს ლიგაზე 5:1 2015 წლის ნოემბერში წააგეს და მაშინაც „ალიანს არენაზე", „ბაიერნთან". გარდა ამისა, „არსენალი" გახდა პირველი ინგლისური გუნდი, რომელმაც ევროპის უპრესტიჟულეს ტურნირზე 200 გოლი გაუშვა.

წინ კი საპასუხო თამაშია — რა შანსი აქვს „არსენალს", ძნელი სათქმელია. დიდი ალბათობით, ამ წყვილში გამარჯვებული გუნდის ვინაობა 180 წუთის ნაცვლად 90 წუთმაც გამოავლინა...



# „რეალი" მეოთხედფინალთან ერთ ნაბიჯშია

**უეფას ჩემპიონთა ლიგის მოქმედმა გამარჯვებულმა მადრიდის „რეალმა" მეოთხედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა — „სამეფო კლუბმა" საკუთარ მოედანზე „ნაპოლი" პირწმინდად დაჯაბნა და სამი კვირის შემდგომ იტალიაში ორბურთიანი უპირატესობით ჩავა, რაც სახუმარო ფორა ნამდვილად არაა, მით უფრო მაშინ, როდესაც საქმე „რეალთან" გვაქვს. არადა, მადრიდული გრანდისთვის იტალიური გუნდები დაბრკოლებას წარმოადგენენ — მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ „ნაპოლისთან" მატჩამდე ზიდანის გუნდს ბოლო ათი წლის განმავლობაში ლიგაზე შინ 6 მარცხი ჰქონდა განცდილი და აქედან სამი იტალიური კლუბების წინააღმდეგ. სტატისტიკამ ამჯერად ვერ გაჭრა — მასპინძლებმა დაამტკიცეს, რომ ლიგის მოგების უმთავრესი კანდიდატები არიან.**

თუმცა, შეხვედრა მადრიდელთათვის კარგად არ დაწყებულა — მერვე წუთზე მარეკ ჰამშიკმა გონივრული პასით ლორენცო ინსინიე მოძებნა, რომელმაც არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღო და 30 მეტრიდან ერთი შეხებით დაარტყა. მართალია, გოლი ძალიან ლამაზი გამოვიდა, მაგრამ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ კეილორ ნავასი აშკარად შეცდა, რადგან კარი დაკარგული ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ლორენცო ინსინიე გახდა პირველი იტალიელი ფეხბურთელი 2009 წლის შემდეგ (ანდრეა პირლო), რომელმაც „სანტიაგო ბერნაბეუზე" გოლი გაიტანა. იმ წუთიდან მოყოლებული კი, „რეალმა" სათამაშო უპირატესობა ხელთ იგდო და თამაშის დასრულებამდე არ გაუშვია.

სტატუსკვო მალევე აღდგა — დანი კარვახალის ფანტასტიკური გადაცემის შემდეგ ქარიმ ბენზემამ ახლო მანძილიდან პეპე რეინას აჯობა — 1:1. ბენზემას პირველივე ნახევარში დუბლის შესრულება და თავისიანების წინ გაყვანა შეეძლო, მაგრამ რეინასთან პირისპირ დარჩენილმა ვერ ივარგა და ბურთი მხოლოდ ძელს მოარტყა. სამაგიეროდ, ესპანელებმა მეორე ტაიმი დაიწყეს ძალიან დამაჯერებლად და საწყის 9 წუთში ორჯერ გაიტანეს. ჯერ კრიშტიანუ რონალდუს ჩინებული პასის მერე ტონი კროოსმა გაიტანა მისთვის საყვარელი პოზიციიდან (სხვათა შორის, პირველი გოლი გაიტანა კროოსმა ლიგაზე „რეალის" მაისურით), ხოლო 54-ე წუთზე ბრაზილიელმა კაზემირომ ბრწყინვალე გოლი შეაგდო — საჯარიმოს გარედან ერთი შეხებით. ისეთი გოლი გამოვიდა, სანახავად რომ ღირს და თან არაერთხელ.

დარჩენილ დროში ზინედინ ზიდანის გუნდს კიდევ შეეძლო რამდენჯერმე გატანა, მაგრამ არ გამოუვიდა. ისიც ვთქვათ, რომ მაურიციო სარის ბიჭებმაც შექმნეს ორი რეალური მომენტი, მაგრამ დრის მერტენსმა ორივე ქარს გაატანა. ხოსე კალეხონმა კი საერთოდ შეაგდო კიდეც, მაგრამ თამაშგარიდან და გოლი გაუქმდა.

მიუხედავად კომფორტული უპირატესობისა, გადაჭრით იმის თქმა, რომ „რეალი" შემდეგ ეტაპზეა, ნაადრევი იქნება. „ნაპოლი" „სან პაოლოზე" ანგარიშგასაწევია და საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ ბოლომდე უნდა იბრძოლოს.

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# ძაგნიძემ ხოტენაშვილის მძლეველი დაამარცხა

**თეირანში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ინდივიდუალურ ჩემპიონატზე, რომელიც ოლიმპიური სისტემით ტარდება, მეორე ტურის მეორე რაუნდის პარტიები გათამაშდა.**

ქალთა შორის საქართველოს №1 მოჭადრაკემ ნანა ძაგნიძემ პირველ ეტაპზე ბელა ხოტენაშვილის მძლეველ ოლგა ზიმინას (იტალია) ჯავრი იყარა, რომელსაც ზედიზედ მეორე პარტია მოუგო და მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

სოფო გურამიშვილს, რომელიც ნატალია ბუკსას ხვდებოდა, მერვედფინალში გასასვლელად ყაიმიც ყოფნიდა, მაგრამ დამარცხდა და ახლა ტაი-ბრეიკში მოუწევს ბრძოლა.



სხვა ქართველი მოჭადრაკეების ბედიც ტაი-ბრეიკში გადაწყდება, რომელიც ხვალ ჩატარდება.

**კობა კობახიძე**

ლეგიონერი

# დიქსონმა აეკ-ს ულიდერა



**საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ნატურალიზებული მოთამაშის მაიკლ დიქსონის აეკ-მა საბერძნეთის ჩემპიონატის მე-18 ტურში სტუმრად „რეტიმნოსთან" 65:72 წააგო, სეზონში კი 4 წაგება დაუგროვდა.**

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა განვლილ შეხვედრაში ათენელებს 16 ქულით კი ულიდერა, თუმცა, მატჩში გარდატეხა ვერ შეიტანა. დიქსონმა 20 წუთში 5-დან 4 ორქულიანი, ხოლო 3-დან 2 სამქულიანი ჩააგდო. მაიკლმა ასევე ორი საჯარიმოდან 2 ქულა მიითვალა.

მიუხედავად მარცხისა, აეკ-ი მაინც მესამე ადგილზე იმყოფება, რადგან მეოთხე ადგილისთვის მებრძოლ გუნდებს რამდენიმე მოგებით უსწრებს. დიქსონის გუნდი ჩემპიონატის მომდევნო შეხვედრას პაოკ-თან 25 თებერვალს გამართავს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მირიან საბაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მირიან საბაშვილი (პ/ნ 59001079755), გორის რაიონი, სოფელი საქაშეთი.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გორის რაიონი, სოფელი საქაშეთი (საკადასტრო კოდი: 66.43.02.264).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 8295.8 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 17 თებერვალი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 2 მარტი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP40771417;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 407714

6. **მოვალე:** მირიან საბაშვილი (პ/ნ 59001079755), გორის რაიონი, სოფელი საქაშეთი;
მურმან არბოლიშვილი (პ/ნ 59001073534), გორის რაიონი, სოფელი საქაშეთი.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP40771417; ლოტის ნომერი: 407714).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 1 მარტის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

## სისხლის სამართლის 78 დანაშაული 2 დღეში!

**შსს-მ, დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2017 წლის 14-15 თებერვალს, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სპეციალური საპოლიციო კონტროლი განახორციელა:**

**საპოლიციო კონტროლის დროს სამართალდამცველების მიერ გამოვლინდა სისხლის სამართლის 78 დანაშაული, მათ შორის:**

**ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების– 21 ფაქტი;**
**ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების – 23 ფაქტი;**
**სხვისი ნივთის დაზიანების – 1 ფაქტი;**
**ძალადობის – 1 ფაქტი;**
**ოჯახში ძალადობის –– 1 ფაქტი;**
**ქურდობის – 8 ფაქტი;**
**ხულიგნობის – 1 ფაქტი;**
**ყალბი ფულის დამზადება-გასაღების – 1 ფაქტი;**
**პოლიციამ 3 ძებნილი პირი დააკავა.**
**დაფიქსირდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 1041 შემთხვევა, მათ შორის:**
**წვრილმანი ხულიგნობის – 2 ფაქტი;**
**პოლიციისადმი დაუმორჩილებლობის – 19 ფაქტი;**
**პოლიციისადმი დაუმორჩილებლობისა და წვრილმანი ხულიგნობის – 18 ფაქტი;**
**ცივი იარაღის ტარების – 22 ფაქტი.**

**საპოლიციო კონტროლის მიმდინარეობისას უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ იქნა სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, მათ შორის:**

**5 ავტომატი, 13 პისტოლეტი, 2 შაშხანა, 8 გადაჭრილი სანადირო თოფი, 3 სანადირო თოფი, 2 ხელყუმბარა, 2 ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა და სხვადასხვა კალიბრის 560 საბრძოლო ვაზნა.**

**ასევე, ამოღებულია სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკული საშუალებები.**

**საპოლიციო კონტროლის დროს, სამართალდამცველებმა ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულისთვის – 17, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის – 36 პირი დააკავეს.**

## დაჭრილი მამაკაცის მდგომარეობა მძიმეა

ვაკეში, შატბერაშვილის ქუჩაზე მომხდარი შეიარაღებული თავდასხმის დროს დაჭრილი მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა ექიმის ინფორმაციით, მძიმეა. როგორც ხეჩინაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკის ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა გიორგი გვახარიამ ჟურნალისტებს განუცხადა, 22 წლის პაციენტს ჭრილობები ფილტვისა და თეძოს მიდამოებში აქვს მიყენებული: **„პაციენტი შემოვიდა კომბინირებული დაზიანებებით, ცეცხლსასროლი ჭრილობებით. იყო მარჯვენა ფილტვის მრავლობითი დაზიანება. ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა. ასევე იყო მეორე ცეცხლსასროლი ჭრილობა თეძოს მიდამოებში, რომელიც მიემართებოდა ხერხემლისკენ და გაჩერებულია ხერხემლის სვეტთან. პაციენტს ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია და მისი მდგომარეობა რჩება მძიმე“**, – აღნიშნა გიორგი გვახარიამ. შატბერაშვილის ქუჩაზე შეიარაღებული თავდასხმა ოთხშაბათს გვიან ღამით მოხდა. დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი BMW-ს მარკის ჯიპს გაუხსნეს, რომელშიც რამდენიმე პირი იმყოფებოდა. არაოფიციალური ცნობით, მათ შორის იყო ინტერპოლის საქართველოს ბიუროს თანამშრომელი, რომელიც დაიჭრა.

## ტრაგედია ბათუმში

**ბათუმში 22 წლის გოგო ხუთსართულიანი კორპუსის მანსარდიდან გადმოხტა. სუიციდის ფაქტი გორგილაძის და ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთაზე მოხდა. თვითმხილველების თქმით, გოგონა გადმოხტომამდე ტელეფონით, სავარაუდოდ, შეყვარებულს ესაუბრებოდა. მეზობლები მის შეჩერებას ცდილობდნენ, თუმცა გოგონა მათ მოწოდებას არ დაემორჩილა. მისი გადარჩენა სასწრაფო დახმარებამ ვერ მოახერხა.**

**შსს-ს ინფორმაციით, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.**

## მოწვევა კრებაზე

**ტარდება ს/ს „მოწამეთას“ საერთო კრება 2017 წლის 10 მარტს. კრება ჩატარდება ქ. ქუთაისში, დ. კლდიაშვილის ქუჩა №135-ში, ს/ს „მოწამეთას“ შენობაში, 16 საათზე.**

**დღის წესრიგი:**

1. ს/ს „მოწამეთას “ სამეთვალყურეო საბჭოს გამოკლებული წევრის ახალი წევრით ჩანაცვლების საკითხი;
2. ს/ს „მოწამეთას“ იურიდიული მისამართის შეცვლა;
3. სხვადასხვა საკითხი.

**ს/ს „მოწამეთას“ სამეთვალყურეო საბჭო.**

# შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (SLRPII)**

განმახორციელებელი უწყება: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P122204**

კონტრაქტის № **SLRPII/CS/CQS-04**
გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია: შპს პროექტმშენკომპანი
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **22 დეკემბერი, 2016**
შერჩევის მეთოდი: **CQS** -კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევა
კონტრაქტის ღირებულება: **109,032.00** ლარი
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **109** დღე
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **იმერეთის, გურიის, სამეგრელო – ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების განსახორციელებლად დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.**

# CONTRACT AWARD NOTIFICATION

Project Name: **Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)**

**Project Implementing Agency: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project number: **P122204**

Contract Reference No: **SLRPII/CS/CQS-04**
Awarded Firm: **Proeqtmshenkompani Ltd**
Contract Signature Date: **December 22, 2016**
Method of Selection: **CQS – Consultants' Qualification Selection**
Contract Price: **109,032.00 Georgian Lari**
Duration of Contract: **109 days**
Scope of Contract: **The Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Small - Scale Road Safety Improvements in Imereti, Guria, Samegrelo - Zemo Svaneti and Kvemo Kartli Regions**

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნოდარ ზაქარაძის, ინგა ზაქარაძე-დევაძის, დალი ზაქარაძის, თამილა ზაქარაძის და ნინო ზაქარაძის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:**
ნოდარ ზაქარაძე (პ/ნ 61006000498), ქ. ბათუმი, კახაბრის II ჩიხი №7;
ინგა ზაქარაძე-დევაძე (პ/ნ 61006015562), ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. №27, ბინა №10;
დალი ზაქარაძე (პ/ნ 61006002044), ქ. ბათუმი, კახაბრის II ჩიხი №7;
თამილა ზაქარაძე (პ/ნ 61006008006), ქ. ბათუმი, კახაბრის II ჩიხი №7;
ნინო ზაქარაძე (პ/ნ 0509667005), ქ. ბათუმი, კახაბრის II ჩიხი №7;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ბათუმი, კახაბრის II ჩიხი №7 (საკადასტრო კოდი: 05.32.07.649).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41143.33 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 17 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 2 მარტი, 15:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP40789117;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 407891
6. **მოვალე:** თამილა ზაქარაძე (პ/ნ 61006008006), ქ. ბათუმი, კახაბრის II ჩიხი №7;
ნოდარ ზაქარაძე (პ/ნ 61006000498), ქ. ბათუმი, კახაბრის II ჩიხი №7.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP40789117; ლოტის ნომერი: 407891).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 1 მარტის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

---

## განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას" განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაყვალა დიასამიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაყვალა დიასამიძე (პ/ნ 61010007879), შუახევი, სოფელი ნიგაზეული.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ბათუმი, აფხაზეთის ქ. №6ა, კორპუსი 12, ბინა №31ა (საკადასტრო კოდი: 05.30.18.033.06.503).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 38411.63 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 17 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 2 მარტი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP40789017;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 407890
6. **მოვალე:** ემზარ ბერიძე (პ/ნ 61005006474), ქობულეთი, სოფელი ჩაისუბანი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი", ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP40789017; ლოტის ნომერი: 407890).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 1 მარტის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

---

## სანთელი

**მეუღლე ჟორა, შვილები ასმათ, ბესიკ, ბეჟან, იზა ახალაიები, რძლები ციალა თორია, ეკა შამახია, ეკა შამუგია, დარეჯან ორჟონია, მაია ბარაბაძე, მაზლები ნუგზარ, გურამ ახალაიები ოჯახებით, მულები ციალა, ცუცა, ნანული, ზაირა, თეზიკო ახალაიები ოჯახებით, შვილიშვილები იკა, ნათია ჩიკვატიები, დიმა, ჯაბა კალანდიები, გიორგი, დავით ახალაიები, შვილთაშვილები ნინო, ვერიკო, ნიკოლოზი, ანდრია, ძმისშვილები ირმა, ინგა, ლიკა თორიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

### ლეილა თორია-ახალაია

**პანაშვიდი 19, 20 II, 16 სთ, გამოსვენება 21 II 15 სთ, ზუგდიდის რაიონი სოფ. განმუხური.**

---

**გურამ, მაია ახალაიები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ რძალი**

### ლეილა თორია-ახალაია

**პანაშვიდი 19, 20 II, 16 სთ, გამოსვენება 21 II 15 სთ, ზუგდიდის რაიონი სოფ. განმუხური.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს რედაქციის ერთგულ ავტორსა და მეგობარს გურამ ახალაიას რძლის**

### ლეილა თორია-ახალაიას

**გარდაცვალების გამო.**

---

**სპარტაკ, მანანა ქობულიები თანაუგრძნობენ ოჯახის უახლოეს მეგობრებს გურამ და მაიკო ახალაიებს ძვირფასი ადამიანის**

### ლეილა თორია-ახალაიას

**გარდაცვალების გამო.**

---

